საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 70 (10464) | პარასკევი, 23 მარტი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

## დღეს ნომერშია:

ატომის ენერგია — ადამიანის სამსახურში! — „პრავდის“ 22-III მოწინავე (1-ლი გვერდი).

ნ. ა. ბულგანინმა მიიღო გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ვ. ჰაასი (1-ლი გვერდი).

მოსკოვის კომუნისტები განიხილავენ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).

პარტიული აქტივის კრებებზე. — მთელი ძალები—სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას. იდეოლოგიური მუშაობა — ყურადღების ცენტრში (მე-2 გვერდი).

ა. კიკვიძე. — კომუნისტური პარტიის პოლიტიკა ხალხის მასების ინტერესების გამოხატულებაა (მე-2 გვერდი).

საუკეთესოდ მოვემზადოთ საგაზაფხულო თესვისათვის (მე-3 გვერდი).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. — ელ. უბილავა. — ნარკვევები ხალხთა მეგობრობაზე (მე-3 გვერდი).

ტაშკენტიდან გაემგზავრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი. ქაბულში ჩავიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი. ა. ი. მიქოიანი [illegible] (მე-3 გვერდი).

თათბირი აღმოსავლეთის ატომგულის კვლევითი ინსტიტუტის მოწყობის საკითხზე (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

# ატომის ენერგია— ადამიანის სამსახურში!

ჩვენი ეპოქის დამახასიათებელი ნიშანია ტექნიკის უმაგალითოდ სწრაფი განვითარება, რომელსაც საფუძვლად უდევს მეცნიერული აზროვნების თვალსაჩინო მიღწევები. თუ XIX საუკუნე უმთავრესად ორთქლის საუკუნე იყო, XX საუკუნე — ელექტრობის საუკუნე — სულ უფრო მეტად იქცევა ატომის ენერგიის საუკუნედ.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განუწყვეტელი და ქმედითი დახმარებით ჩვენმა მეცნიერებმა და ინჟინრებმა თვალსაჩინო შედეგები მოიპოვეს მეცნიერების მთელ რიგ დარგებში, მათ შორის ატომგულის ფიზიკაში. მათ მოკლე ვადებში შესანიშნავად გადაჭრეს ატომის ენერგიის მიღების პრობლემა.

მეცნიერების მიღწევებმა შექმნა ყველა პირობა პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული იმ ამოცანის შესასრულებლად, რომ მნიშვნელოვნად გაფართოვდეს მეექვსე ხუთწლედში ატომის ენერგიის გამოყენება მშვიდობიანი მიზნით. 1956-1960 წლებში აშენდება 2-2,5 მილიონი კილოვატი საერთო სიმძლავრის ატომის ელექტროსადგურები, დაიწყება მუშაობა ატომის ძალოვანი დანადგარების შესაქმნელად სატრანსპორტო მიზნებისათვის, ყოველმხრივ განვითარდება მუშაობა რადიაქტიურ გამოსხივებათა შემდგომი გამოყენებისათვის მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მედიცინაში, მეცნიერულ კვლევებში.

ატომის ტექნიკის განვითარება სსრ კავშირში, ისევე როგორც ყოველ სხვა სახელმწიფოში, დამოკიდებულია მეცნიერული კვლევის მასშტაბზე. მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის წარმატებით გამოყენებას პირდაპირი კავშირი აქვს მეცნიერული მუშაობის შემდგომ განვითარებასთან ექსპერიმენტული და თეორიული ფიზიკის დარგში. ატომის არსში კიდევ უფრო ღრმად ჩაწვდენა საშუალებას მისცემს მეცნიერებს უფრო სრულად შეიცნონ მასში შემავალი უმცირესი ნაწილაკების ურთიერთმოქმედების თვისებანი და კანონზომიერებანი, უფრო ღრმად შეისწავლონ ატომგულის შინაგანი ძალების ბუნება.

საბჭოთა სახელმწიფოს აქვს მეცნიერული ლაბორატორიები და ინსტიტუტები, რომლებიც კვლევას ეწევიან ატომგულის ფიზიკის დარგში პირველხარისხოვანი დამჩქარებელი დანადგარების საშუალებით. მაგალითად, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ატომგულის პრობლემების ინსტიტუტს თავის განკარგულებაში აქვს მძლავრი სინქროციკლოტრონი, რომელიც ნავარაუდევია პროტონების დასაჩქარებლად 680 მილიონ ელექტრონვოლტის ენერგიამდე. ეს დანადგარი თავისი სიმძლავრით ყველაზე დიდია მსოფლიოში ამ ტიპის მოქმედ დამჩქარებელთა შორის.

ატომგულის შესასწავლად კიდევ უფრო გიგანტური დანადგარი შეიქმნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ელექტროფიზიკურ ლაბორატორიაში. აქ მთავრდება მსოფლიოში ყველაზე მძლავრი სინქროფაზოტრონის მონტაჟი და წარმოებს მისი გაწყობის სამუშაოები, რომლის დახმარებით მეცნიერები შეძლებენ პროტონები დააჩქარონ ათ მილიარდ ელექტრონვოლტ ენერგიამდე. ახალი დამჩქარებელი შესაძლებელს გახდის შესწავლილ იქნას ატომგულის პროცესები ზეჩქარი ენერგიებისას, განავითარებს რა ამრიგად ექსპერიმენტულ მუშაობას თანამედროვე ფიზიკის „მოწინავე ხაზზე“.

მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების მხრივ საბჭოთა კავშირი სხვა ქვეყნებზე წინ არის. ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების პოლიტიკის ერთგული საბჭოთა სახელმწიფო გამოდის თანმიმდევრულ მებრძოლად ყველა სახეობის ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდისა და გამოყენების აკრძალვისათვის, მშვიდობიანი მიზნით ატომგულის ენერგიის ფართოდ გამოყენებისათვის.

ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების დარგში თავის მიღწევებს იგი ხალისით უზიარებს ყველა ქვეყანას, მეგობრულ, უანგარო დახმარებას უწევს ამ საქმეში სხვა სახელმწიფოებს. საბჭოთა კავშირი ხელს უწყობს ატომგულის ფიზიკის დარგში მეცნიერული კვლევის განვითარებას, რაც წარმოებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ბულგარეთში, უნგრეთში, რუმინეთში.

მაგალითად, ჩინეთისათვის ჩვენში აკეთებენ მოწყობილობას 5.000-6.000 კილოვატი სიმძლავრის ატომის რეაქტორისა და ციკლოტრონისათვის, რომელიც ნავარაუდევია 25 მილიონი ელექტრონვოლტი ენერგიის მქონე ნაწილაკების მისაღებად. საბჭოთა კავშირი გააკეთებს 2.000 კილოვატი სიმძლავრის ატომის რეაქტორების მოწყობილობას და 25 მილიონი ელექტრონვოლტის ციკლოტრონებს, რომლებიც განკუთვნილია პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთის, უნგრეთისა და რუმინეთის სამეცნიერო-საკვლევი ცენტრებისათვის, და დახმარებას გაუწევს ადგილზე მათ მონტაჟსა და გაწყობაში.

შარშან საბჭოთა კავშირის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გაფართოვდეს იმ ქვეყნების წრე, რომლებსაც საბჭოთა სახელმწიფო დახმარებას გაუწევს და ხელს შეუწყობს მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენებაში.

ამას წინათ მიღწეულ იქნა შეთანხმება ამ საქმეში თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიას შორის, აგრეთვე შეთანხმება იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი სამეცნიერო-ტექნიკურ დახმარებას გაუწევს ეგვიპტეს კაიროს ატომგულის ფიზიკის ლაბორატორიის შექმნაში.

ხელს უწყობს რა საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების დარგში, საბჭოთა სახელმწიფო ცხადყოფს მშვიდობისა და პროგრესის საქმისადმი სამსახურის შთამაგონებელ მაგალითს.

სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა საერთაშორისო თანამშრომლობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროგრესის დასაჩქარებლად მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგში. მათი ურთიერთობა და ერთობლივი შემოქმედებითი საქმიანობა ხელს უწყობს გამოცდილების ფართოდ გაცვლას და მეცნიერული მუშაობის დონის ამაღლებას თვითეულ ამ ქვეყანაში. ეს განსაკუთრებით ეხება კვლევას ატომგულის ფიზიკის დარგში, სადაც საჭიროა რთული მეთოდიკისა და ფართო მასშტაბის ექსპერიმენტული და თეორიული მუშაობა, რისთვისაც აუცილებელია შეიქმნას კოლოსალური და ძვირადღირებული დანადგარები. ასეთი დანადგარების აგება ყველა სახელმწიფოს როდი შეუძლია.

თანამედროვე მეცნიერულ ცხოვრებაში დიდი მოვლენაა ამჟამად მოსკოვში მიმდინარე საერთაშორისო თათბირი, რომელიც განიხილავს აღმოსავლეთის ატომგულის კვლევის ინსტიტუტის მოწყობის საკითხს. ასეთი სამეცნიერო დაწესებულების შექმნა ახალ პერსპექტივებს დაუსახავს თანამედროვე ფიზიკის განვითარებას, საშუალებას მისცემს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებს გააერთიანონ თავიანთი ღონისძიებანი მეცნიერებისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადასაჭრელად.

მოსკოვის თათბირი აღმოსავლეთის ატომგულის საკვლევი ინსტიტუტის მოწყობის საკითხზე დასაწყისია საერთაშორისო თანამშრომლობის ახალი, უფრო მაღალი ფაზისა, რომელიც განსაკუთრებულ შესაძლებლობას ქმნის იმისათვის, რომ ატომის ენერგია — ჩვენი საუკუნის უდიდესი აღმოჩენა — ჩავაყენოთ კაცობრიობის სამსახურში. ეს თათბირი ახალი დადასტურებაა უდიდესი ზრუნვისა, რომელსაც საბჭოთა კავშირი და მისი მეგობარი სახელმწიფოები იჩენენ მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისათვის ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერების სასარგებლოდ.

„პრავდის“ 22/III მოწინავე.

# საბჭოთა საქართველოს დღე



ქუთაისის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივი, რომელიც აღფრთოვანებით შეხვდა პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, გაორკეცებული ენერგიით იბრძვის ახალი შრომითი მიღწევების მოპოვებისათვის. სურათზე: ექსკავატორების ამწყობი საამქროს ზეინკალი ბ. ყუფარაძე, რომელმაც 300 პროცენტით გაანაღდა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად აღებული ვალდებულება, მუშაობს ექსკავატორის მოსაბრუნებელი პლატფორმის აწყობაზე.

ფოტო დ. კაკიტელაშვილისა.

## მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმების შესრულება

ბოლნისის რაიონმა შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო დამზადებისა და შესყიდვის მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმები: ხორცისა — 100 პროცენტით, რძისა — 171 და კვერცხისა—200 პროცენტით.

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება გრძელდება.

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 20 მარტისათვის მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო დამზადებისა და შესყიდვის 1956 წლის პირველი კვარტალის გეგმა შეასრულეს: ხორცისა — 102 პროცენტით, რძისა — 156 პროცენტით და კვერცხისა — 235 პროცენტით.

## იბრძვიან წველადობის გადიდებისათვის

დმანისი. (საკ. კორ.). პირუტყვის კარგი მოვლა-პატრონობის შედეგად სოფელ ჯავახის მე-17 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში გაადიდეს წველადობა. კოლმეურნეობამ მიმდინარე სამეურნეო წლის დაწყებიდან 1 მარტისათვის თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღო 315 კილოგრამი რძე, რაც დიდად აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებლებს. განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია მწველავმა ლ. ოქრიაშვილმა, რომელმაც მოსავლელად მიჩენილ თვითეულ ძროხაზე საშუალოდ 390 ლიტრი რძე მიიღო. წველადობაში მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს აგრეთვე თ. ოქრიაშვილმა, ნ. ბიძინაშვილმა, თ. ბალახაძემ, ლ. ბალახაძემ და სხვებმა.

ჯავახელი მეცხოველეები იბრძვიან იმისათვის, რომ მიმდინარე სამეურნეო წელს ერთ საფურაჟე ძროხაზე მიიღონ 1.800 ლიტრი რძე.

## კარტოფილის საადრეო თესვა

თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ასურეთის კოლმეურნეობაში დაიწყო საადრეო კარტოფილის თესვა. წელს არტელი ერთისამად ადიდებს ამ კულტურის ფართობს. ითესება „ეკას“ ჯიშის კარტოფილი, რომელიც ამ კოლმეურნეობის აგრონომმა ე. კაკულიამ გამოიყვანა. ეს ჯიში გამოირჩევა კარგი გემოთი, ადვილად იტანს გვალვას, გამძლეა დაავადებისადმი, მისი მოსავლიანობა 15 პროცენტით სჭარბობს არსებულ ჯიშებს და 40-45 დღით ადრე მწიფდება.

„ეკას“ ჯიშის კარტოფილი მოჰყავთ რაიონის სხვა კოლმეურნეობებსაც. ერთი ცენტნერი ამ კარტოფილის თვითღირებულება მნიშვნელოვნად ნაკლებია სხვა ჯიშებისაზე. კოლმეურნეები სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარებით დიდ შემოსავალს იღებენ.

რაიონის კოლმეურნეობებში გაჩაღდა შეჯიბრება თესვის სანიმუშოდ დამთავრებისათვის, ერთი ცენტნერი კარტოფილის წარმოების თვითღირებულების შემდგომი შემცირებისათვის. თესვასა და მინდვრების მოვლაში კოლმეურნეებს დიდ დახმარებას უწევენ მტს-ის მექანიზატორები. (საქინფორმი).



თბილისის მეორე საკონდიტრო ფაბრიკის კოლექტივი ყოველდღე ასობით კილოგრამ მაღალხარისხოვან ტორტს და სხვადასხვა ნამცხვარს აწვდის დედაქალაქის მოსახლეობას. კონდიტრებმა მიმდინარე წლის გასულ ორ თვეში კარგად იმუშავეს — გადაჭარბებით შეასრულეს დავალება და გეგმის გადამეტებით გამოუშვეს დიდძალი საკონდიტრო ნაწარმი. სურათზე: მოწინავე მუშები თ. თათარაშვილი (მარჯვნივ) და ზ. ხავეიკინა, რომლებიც მზა პროდუქციის შეფუთვაზე მუშაობენ და ყოველდღიურ დავალებებს 140-150 პროცენტით ასრულებენ.

ფოტო შ. გოქაძისა.

## უნგრელ მაღაროელთა დელეგაცია ჭიათურაში

ჭიათურა. (საკ. კორ.). აქ ორ კვირას იმყოფებოდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მაღაროელთა დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობისა და ელექტროენერგიის სამინისტროს მადნეულ ბუდობათა განყოფილების უფროსი ბ. ა. პაპი. დელეგაცია დაწვრილებით გაეცნო ლენინის, სტალინის, კაგანოვიჩისა და დიმიტროვის სახელობის მაღაროების მუშაობას, მარგანეცის ცენტრალურ გამამდიდრებელ ფაბრიკას, ესაუბრა მაღაროელებს. უნგრელი ამხანაგების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ახალმა სამთო ტექნიკამ, კარბონატული მადნების მოპოვებისა და დამუშავების მეთოდებმა.

ურკუტის (უნგრეთი) მარგანეცის მაღაროების მთავარმა ინჟინერმა ტ. დ. გეორგიევმა განაცხადა, რომ მათთან დიდი რაოდენობით მოიპოვება მარგანეცის კარბონატული მადნები. ჩვენი მიზანია, — თქვა მან, — შევისწავლოთ კარბონატული მადნების მოპოვებისა და გაუხვების მეთოდები. ჭიათურაში მიღებული გამოცდილება დაგვეხმარება პრაქტიკულ მუშაობაში. კმაყოფილი ვართ ქართველი ამხანაგების გულთბილი მიღებითა და სტუმართმოყვარეობით.

## იქმნება მეკამეჩეობის ფერმები

ცხაკაია. (საკ. კორ.). რაიონში უძველესი დროიდან მისდევენ მეკამეჩეობას, მაგრამ უკანასკნელ წლებში მეკამეჩეობისადმი ყურადღება შენელდა და მთელ რიგ კოლმეურნეობებში მისი სულადობა შემცირდა.

ამჟამად ეს მდგომარეობა სწორდება. ახალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში უკვე ჰყავთ 56 სული კამეჩი. ფერმები იქმნება თეკლათის, გეჯეთის და ზემო ჭალადიდის კოლმეურნეობებში, სადაც ამისათვის განსაკუთრებით კარგი პირობებია.

## მეცნიერთა ჯგუფი ჩოხატაურში

ჩოხატაური. (საკ. კორ.). ამ ცოტა ხნის წინათ აქ ჩამოვიდა ამ რაიონის მკვიდრ მეცნიერთა ჯგუფი. მათ შორის იყვნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლ. კალანდაძე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ს. ქლენტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მ. რამიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ი. ცინცაძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები ა. მინდაძე, ე. ცინცაძე, გ. ხუნდაძე, ა. კუტუბიძე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატები, დოცენტები პ. კეკელიძე, მ. დუდუჩავა და სხვები, სულ 30-მდე კაცი.

რაიონის სამედიცინო დაწესებულებების მუშაკებთან მოეწყო გამსვლელი სამეცნიერო სესია. მოხსენებით თემაზე — გულ-ს დეკომპენსაციის მკურნალობა — გამოვიდა პროფესორი ე. ცინცაძე; ნერვული სისტემის ტრავმული დაავადების მკურნალობის შესახებ ლექცია წაიკითხა პროფესორმა ა. მინდაძემ. მედიცინის სხვადასხვა საყურადღებო საკითხზე ლექციები წაიკითხეს ა. კუტუბიძემ, მ. გიგინეიშვილმა და სხვ.

რაიონის მშრომელებმა შეხვედრა მოუწყეს მეცნიერ მუშაკებს.

შეხვედრაზე სიტყვებით გამოსულმა პროფესორებმა ს. ქლენტმა და ა. მინდაძემ მეცნიერთა ჯგუფის სახელით რაიონის მშრომელებს აღუთქვეს, რომ კიდევ უფრო განამტკიცებენ თავიანთ კავშირს მშრომელებთან.

შეხვედრის დასასრულს ადგილობრივი ძალებით გაიმართა დიდი კონცერტი.

## გეგმის გადამეტებით 8.000 კილოგრამი აბრეშუმის პარკისათვის

წულუკიძე. (საკ. კორ.). მეაბრეშუმეობა წულუკიძის რაიონის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია. იგი კოლმეურნეთა შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა. საკმარისია ითქვას, რომ გასულ წელს წულუკიძელმა მეაბრეშუმეებმა აბრეშუმის პარკის დამზადების დავალება 105,8 პროცენტით შეასრულეს და 9 მილიონ მანეთამდე შემოსავალი მიიღეს.

უფრო გადიდებული ამოცანები აქვთ წულუკიძელ მეაბრეშუმეებს წელს. მათ უნდა გამოკვებონ 5.280 კოლოფი აბრეშუმის თესლი და დაამზადონ 232.000 კილოგრამი ხარისხოვანი აბრეშუმის პარკი. ამ ამოცანის განხილვას მიეძღვნა მოწინავე მეაბრეშუმეთა რაიონული თათბირი, რომელიც აქ ამას წინათ გაიმართა. წარჩინებულმა მეაბრეშუმეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნ. ბარაბაძემ, თ. მელაძემ, ნ. თოფურიამ, მ. ჯიმშელეიშვილმა და სხვებმა თათბირის მონაწილეებს გააცნეს აბრეშუმის პარკის მაღალი მოსავლის მიღების დარგში მუშაობის გამოცდილება.

წულუკიძელმა მეაბრეშუმეებმა აწონდაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს წელს გეგმის გადამეტებით დაამზადონ 8.000 კილოგრამი ხარისხოვანი აბრეშუმის პარკი. მათ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს სამტრედიის რაიონის მეაბრეშუმეები.

# ნ. ა. ბულგანინმა მიიღო გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ვ. ჰაასი

ა. წ. 21 მარტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა მიიღო გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბ-ნი ვილჰელმ ჰაასი.

ელჩ ვ. ჰაასს ახლდა მრჩეველი — დესპანი გ. ნორტე.

მიღებას დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი. (საქდესი).

# მოსკოვის კომუნისტები განიხილავენ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შედეგები და პარტიული ორგანიზაციების ამოცანები — ასეთი დღის წესრიგით მიმდინარეობს მოსკოვში მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა, მშენებლობათა, სამინისტროთა, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა, სასწავლებელთა და სხვა კოლექტივთა კომუნისტების კრებები.

პარტიული კრებები ერთსულოვნად იწონებენ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მიიღო როგორც ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის საბრძოლო პროგრამა. ავლინებენ რა პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის ნაკლოვანებებს, კრებების მონაწილენი სახავენ პრაქტიკულ ღონისძიებებს პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესებისათვის, მეექვსე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესასრულებლად მასების შემოქმედებითი აქტივობის მობილიზაციისათვის.

21 მარტს კრასნი ხოლმის კამვოლის კომბინატის პარტიული ორგანიზაციის კრებაზე მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შედეგების შესახებ გააკეთა პარტიის კიროვის რაიკომის მდივანმა ამხ. ს. ი. სმირნოვმა. მოსკოვის ფერადი ლითონებისა და ოქროს ინსტიტუტის კომუნისტების წინაშე გამოვიდა სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის მინისტრი ამხ. პ. თ. ლომაკო.

მოსკოვის ტყავის ქარხნის პარტიული ორგანიზაციის კრებაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩმა. (საქდესი).

# სირიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჯამალ ე.-დ. ფარამ რწმუნების სიგელები გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს

20 მარტს სირიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში ჯამალ ე.-დ. ფარამ რწმუნების სიგელები გადასცა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს.

ელჩს ახლდა საელჩოს მეორე მდივანი ი. მარაში, რომელიც ელჩმა კ. ე. ვოროშილოვს წარუდგინა.

რწმუნების სიგელების გადაცემას დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ოქმის უფროსი გ. ი. ფომინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგე გ. ტ. ზაიცევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი ლ. ფ. ტეპლოვი.

კ. ე. ვოროშილოვმა და ელჩმა ჯ. ფარამ სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ჯ. ფარამ თავის სიტყვაში განაცხადა, რომ მისთვის დიდი პატივია იყოს სირიის რესპუბლიკის პირველი ელჩი საბჭოთა კავშირში და რომ სსრ კავშირისა და სირიის დიპლომატიურ წარმომადგენლობათა საელჩოების რანგში აყვანის ფაქტი ნიშნავს ორივე მისწრაფებას კიდევ უფრო განვამტკიცოთ მეგობრული ურთიერთობა, რაც შეიძლება მეტი ურთიერთგაგება და ფართო თანამშრომლობა ორივე ქვეყნისათვის საინტერესო დარგებში, აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობის დარგში.

ელჩმა აღნიშნა, რომ ამას წინათ დადებული სავაჭრო ხელშეკრულება და სსრ კავშირისა და სირიის დელეგაციებს შორის დამყარებული თანამშრომლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კეთილი ნების პირველი წარმატებებია, სუვერენიტეტის პატივისცემის, დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, თანასწორუფლებიანობისა და ჩაურევლობის პრინციპების ფარგლებში თანამშრომლობის პირველი წარმატებებია.

მიმდინარე საუკუნის განვლილი ნახევრის ისტორია, თქვა ჯ. ფარამ, ამტკიცებს, რომ სირია ერთგულად იცავს თავის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებებს. წარმატებანი, რომლებიც სირიაში მიღწეულია უკანასკნელი ათი წლის მანძილზე, აგრეთვე მოწმობენ, რომ მას სწამს სოციალური პროგრესი და მშვიდობა.

თუ ვინმე ცდილობს იმას, რომ ჩვენი სამხრეთი ჰორიზონტი შავი ღრუბლებით დაფარონ, განაცხადა შემდეგ ელჩმა, ეს მხოლოდ აძლიერებს თვითეული მოქალაქის რწმენას თავისი კანონიერი უფლებებისადმი, რომლებიც არ შეიძლება არ მივიღოთ მხედველობაში გულწრფელი და პატიოსანი საერთაშორისო თანამშრომლობის დროს.

დასასრულ ელჩმა იმედი გამოთქვა, რომ სასარგებლო და ნაყოფიერ მისიას შეასრულებს საბჭოთა მთავრობის კეთილგანწყობილებითა და ხელშეწყობით.

საპასუხო სიტყვაში კ. ე. ვოროშილოვი მიესალმა ჯამალ ფარას, როგორც სირიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს სსრ კავშირში.

კ. ე. ვოროშილოვმა შემდეგ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირისა და სირიის რესპუბლიკის ურთიერთობა კეთილნაყოფიერად ვითარდება, მტკიცდება ურთიერთნდობა სსრ კავშირსა და სირიას შორის, მყარდება ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა ეკონომიურ და კულტურულ დარგებში. ეს სავსებით შეესაბამება ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებს და იმ კეთილშობილურ ამოცანას, რომ შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა და განმტკიცდეს საყოველთაო მშვიდობა.

საბჭოთა კავშირი, როგორც ცნობილია, თავის ურთიერთობას სხვა ქვეყნებთან საფუძვლად უდებს ხუთ პრინციპს, რომლებიც ელჩმა მოიხსენია, და მტკიცედ იბრძვის თანასწორუფლებიანობისათვის ყველა სახელმწიფოს, როგორც დიდი, ისე პატარა სახელმწიფოების ურთიერთობაში, ყოველი სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობისათვის.

საბჭოთა ხალხი, თქვა კ. ე. ვოროშილოვმა, დიდი სიმპათიით ეპყრობა ნიჭიერ სირიელ ხალხს, რომელიც მტკიცედ იცავს თავის ეროვნულ დამოუკიდებლობას და სირიის რესპუბლიკის სუვერენიტეტს უცხოელთა ხელყოფისაგან, და იბრძვის იმ ცდების წინააღმდეგ, რომ სირია ჩაითრიონ არაბთა ინტერესებისადმი მტრულ სამხედრო ბლოკებში.

საბჭოთა მთავრობა და მთელი საბჭოთა ხალხი გაგებითა და გულწრფელი თანაგრძნობით ეკიდებიან მეგობარი სირიელი ხალხის ეროვნულ მისწრაფებებს, ხალხისა, რომელიც თვალსაჩინო როლს ასრულებს არაბ ხალხთა ოჯახში, რომლებმაც დამოუკიდებლობა მიიღეს.

კ. ე. ვოროშილოვმა განუცხადა ჯ. ფარას, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საბჭოთა მთავრობა ყოველგვარ მხარდაჭერასა და დახმარებას გაუწევენ მას იმ საქმიანობაში, რომლის მიზანია სირიისა და საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცება და შემდგომი განვითარება, და რომ სირიის მთავრობასა და ხალხს უსურვებენ აყვავებასა და სრულ კეთილდღეობას.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და სიტყვების გაცვლის შემდეგ კ. ე. ვოროშილოვს საუბარი ჰქონდა ჯ. ფარასთან.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს ნ. მ. პეგოვმა და ვ. ს. სემიონოვმა. (საქდესი).

## პარტიული აქტივის კრებებზე

# მთელი ძალები—სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას

ბათუმი. (საკ. კორ.). 21 მარტს შედგა საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება. მოხსენება სკკპ XX ყრილობის შედეგებისა და ბათუმის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ.**

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა, — თქვა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ, — უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა ჩვენი პარტიის და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ისტორიაში. ყრილობამ, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისშემძლე იდეების ნიშნით ჩატარდა, ცხადყო ჩვენი პარტიის ურღვევი ერთიანობა, მისი დარაზმულობა თავისი ნაცადი კოლექტიური ხელმძღვანელის — ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. ყრილობის მთელი მუშაობა წარმოადგენს ახალი ისტორიული გამოცდილების საფუძველზე მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემდგომი შემოქმედებითი განვი- [illegible]

[illegible] ლებანი.

აქტივის კრების მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს მრეწველობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის საკითხებს. აღინიშნა, რომ სამრეწველო საწარმოთა პარტიულმა ორგანიზაციებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შემდეგ გააუმჯობესეს მუშაობა წარმოების შემდგომი სრულყოფისა და ახალი ტექნიკის დანერგვის საქმეში. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. ორატორებმა ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ ქალაქის საწარმოთა ერთი ნაწილი ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. თევზის ქარხანა, ხორცკომბინატი და სხვა საწარმოები ჩამორჩებიან საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმების შესრულებაში. მთელი რიგი საწარმოები ვერ ასრულებენ გეგმებს ასორტიმენტის მიხედვით, სუსტად წარმოებს ბრძოლა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, აგრეთვე მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის.

სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ამხ. **ნ. პრიხოდკომ** ილაპარაკა საწარმოს კოლექტივის იმ დიდ პოლიტიკურ და შრომით აღმავლობაზე, რომელიც პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებმა გამოიწვია. საერთო პროდუქციის გამოშვების ორი თვის [illegible]

[illegible] თავისი გამოსვლა მიუძღვნა ახალგაზრდობაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს. ტყავის ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ამხ. **ნ. ზადოვნიმ** აქტივის კრების მონაწილეებს უამბო იმაზე, თუ როგორი მუშაობა მიმდინარეობს საწარმოში ახალგაზრდობის საბჭოთა პატრიოტიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით აღზრდისათვის.

— ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, — თქვა კოფეინის ქარხნის საამქროს უფროსმა ამხ. **მ. რუსიეშვილმა,** — აუცილებელია ქალაქში მოეწყოს ტექნიკის სახლი.

პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელება მოითხოვს, რომ გადაჭრით გაუმჯობესდეს პარტიულ-ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობა. აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ საჭიროა სწრაფად დავძლიოთ იდეოლოგიური მუშაობის მოწყვეტა ცხოვრებისაგან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკული ამოცანებისაგან, მჭიდროდ დავუკავშიროთ პროპაგანდა და აგიტაცია საწარმოთა კონკრეტულ ამოცანებს, ფართოდ განვუმარტოთ მასებს ისტორიაში პიროვნების როლის მარქსისტულ-ლენინური გაგება.

აქტივის კრებაზე სიტყვებით გამო- [illegible] ცენტრალური კომიტეტის გარშემო, სათავეში ჩაუდგება მშრომელთა პოლიტიკურ და შრომით აქტივობას და მთელ თავის ძალასა და ენერგიას მოახმარს კომუნისტური მშენებლობის იმ დიადი პროგრამის განხორციელებას, რომელიც XX ყრილობამ დასახა.

# იდეოლოგიური მუშაობა—ყურადღების ცენტრში

გორი. (საკ. კორ.). გაიმართა გორის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება. პარტიის XX ყრილობის შედეგებისა და გორის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **დ. ვ. მჭედლიშვილმა.**

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ, — თქვა მომხსენებელმა, — ჩვენს ქვეყანას დაუსახა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ახალი დიდი ამოცანები, შემოქმედებითად განავითარა მარქსისტულ-ლენინური თეორია. ყრილობის მთელი მუშაობა წარმოადგენდა კომუნისტური პარტიის ურღვევი ერთიანობის, ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მისი მჭიდრო დარაზმულობის ბრწყინვალე დემონსტრაციას.

მომხსენებელმა და მოკამათეებმა ილაპარაკეს იმ დიდ ამოცანებზე, რომლებიც უნდა გადაჭრან ახალ ხუთწლედში საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ, გორის ყველა მშრომელმა.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ყრილობის დირექტივებში გათვალისწინებულია ამუშავდეს გორის ბამბეულის კომბინატის მეორე რიგი. აქტივის კრებაზე გორის ბამბეულის კომბინატის დირექტორმა ამხ. **ბ. სლუცკიმ** ილაპარაკა კომბინატის მეორე რიგის მშენებლობის მიმდინარეობასა და გორელ ფეიქართა შრომით აღმავლობაზე, რაც XX ყრილობის გადაწყვეტილებებმა გამოიწვია. მან აღნიშნა, რომ უკანასკნელ პერიოდში კომბინატის კოლექტივმა აითვისა ახალი ქსოვილების — მარკიზეტის, შიფონის, ბატისტის, ვუალკრეპის ქსოვა. ამ ქსოვილების საბოლოო გამოყვანისათვის გამომყვან ფაბრიკაში დამთავრდა სამერსერიზაციო აგრეგატის დადგმა. საერთო პროდუქციის გამოშვების მიმდინარე წლის იანვარ-თებერვლის გეგმა კომბინატმა 109,7 პროცენტით შეასრულა.

გორის რაიონის ხილისა და ბოსტნეულის ბაზაზე მუშაობს საკონსერვო ქარხანა. ქარხნის დირექტორმა ამხ. **ლ. ხარატიშვილმა** აქტივის კრებაზე მოიყვანა ციფრები იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ გაადიდებს ახალ ხუთწლედში ქარხანა კონსერვებისა და მურაბების გამოშვებას. მან დააყენა საკითხი ქარხანასთან ხილბოსტნეულის მალფუჭადი ნედლეულის შესანახად მაცივრის აგების შესახებ.

მეექვსე ხუთწლედში განვითარების დიდი პერსპექტივები აქვს დასახული ქალაქის ადგილობრივ მრეწველობას. ამ პერსპექტივების შესახებ ილაპარაკა სამრეწველო კომბინატის დირექტორმა ამხ. **დ. თავზარაშვილმა.**

აქტივის კრებაზე დიდი ყურადღება მიექცა იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს. მასებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებაზე ვრცლად ილაპარაკა თავის გამოსვლაში კომუნისტმა ამხ. **მ. დუბენსკიმ.** როგორც აქტივის კრებაზე აღინიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის პირველადი პარტიული ორგანიზაციები უკანასკნელ ხანს კიდევ უფრო განმტკიცდნენ იდეურ-პოლიტიკურად და ორგანიზაციულად, იდეოლოგიურ მუშაობაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. პირველადი პარტიული ორგანიზაციების ერთმა ნაწილმა შეასუსტა პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა. ეს ითქმის უმთავრესად ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის და ქალაქის ზოგიერთი სასკოლო პირველადი პარტიული ორგანიზაციის შესახებ.

პარტიული აქტივის კრების მონაწილენი ვერ დააკმაყოფილა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პარტბიუროს მდივნის ამხ. **ა. შაყულაშვილის** და ქალაქის განათლების განყოფილების გამგის ამხ. **ი. ჯამბრიშვილის** გამოსვლებმა. აქტივის კრებამ პარტიისა და კომკავშირის საქალაქო კომიტეტებისაგან მოითხოვა სწრაფად გამოასწორონ იდეოლოგიურ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

აქტივის კრებაზე სიტყვით გამოსული ყველა ამხანაგი ერთსულოვნად იწონებდა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს. მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ გორის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია, რომელიც შეიარაღებულია XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, შემდგომ გააუმჯობესებს პარტიულ-ორგანიზაციულ და იდეოლოგიურ მუშაობას და ახალ წარმატებებს მოიპოვებს ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში.



თბილისის ჰიდროენერგოპროექტის კოლექტივი ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებას საქართველოში ახალი მძლავრი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის შესახებ. ამჟამად დამპროექტებლები მთელი ენერგიით მუშაობენ და სისტემატურად ვადაზე ადრე აბარებენ მშენებლებს ხრამის მეორე ჰიდროელექტროსადგურის სამუშაო ნახაზებს. სურათზე: ინჟინერ-დამპროექტებლები (მარცხნიდან) მ. ებანოიძე, მ. ნადირაძე, ი. ზასლავსკი და თ. სუხიშვილი განიხილავენ სადგურის ერთ-ერთი კვანძის სამუშაო ნახაზს.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

# კომუნისტური პარტიის პოლიტიკა ხალხის მასების ინტერესების გამოხატულებაა

მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლები კ. მარქსი და ფრ. ენგელსი „კომუნისტური პარტიის მანიფესტში" მიუთითებდნენ, რომ კომუნისტებს მუშათა კლასის ინტერესისაგან განსხვავებით არაფერი სხვა ინტერესი არ ამოძრავებთ. რომ ყველა საზოგადოებრივი კლასებიდან მხოლოდ მუშათა კლასი არის ის ერთადერთი ძალა, რომელსაც შეუძლია მოსპოს ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა, ექსპლოატატორთა კლასები და მოუპოვოს ხალხებს სოციალური და ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლება. ამ მსოფლიოისტორიული მისიის შესრულებისათვის მშრომელთა ბრძოლების ორგანიზატორად გამოდის მუშათა კლასის მოწინავე ნაწილი, მისი პარტია.

მხოლოდ ლენინური პარტია, კომუნისტური პარტია აღმოჩნდა მეცნიერული სოციალიზმის პროგრამის დამცველი და მისი განმავითარებელი. ლენინიზმის ცხოველმყოფელი ძალის ერთ-ერთი ბრწყინვალე დადასტურებაა ათეულ მილიონობით გლეხობის დარაზმვა მუშათა კლასის გარშემო პროლეტარულ რევოლუციაში გადასვლისათვის და შემდგომ გამარჯვებული რევოლუციის ქვეყანაში მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცება.

[illegible] დემოკრატიულ მოძრაობას ზავისათვის, გლეხურ-დემოკრატიულ მოძრაობას მიწისათვის და მუშათა კლასის სოციალისტურ მოძრაობას პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად. კომუნისტურმა პარტიამ ვ. ი. ლენინის მეთაურობით ეს სხვადასხვა ხასიათის რევოლუციური მოძრაობა გადააქცია ერთ უდიდეს შემტევ ძალად და წარმართა იგი კაპიტალისტური ჩაგვრისა და ექსპლოატაციის მოსასპობად.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ ბრწყინვალედ დაადასტურა კომუნისტური პარტიის მაორგანიზებელი როლი, მშრომელ მასებთან მისი განუყოფელი კავშირი. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ ძირფესვიანად შეცვალა მშრომელთა ცხოვრება, ბოლო მოუღო შრომის ექსპლოატაციას და მატერიალური დოვლათის შემქმნელნი სახელმწიფოს ბატონ-პატრონად გახადა.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეიქმნა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო და ამ სახელმწიფოს დასაყრდენი ახალი ეკონომიკა, ახალი სოციალური წყობა და კულტურა. ლენინი აღნიშნავდა, რომ კლასების მოსპობა მარტო მემამულეთა და კაპიტალისტთა განდევნას როდი ნიშნავს, ეს ნიშნავს აგრეთვე საქონლის წვრილ მწარმოებელთა მოსპობას, „განდევნა კი მათი არ შეიძლება, არ შეიძლება მათი დათრგუნვა", არამედ შეიძლება მათი გარდაქმნა ხანგრძლივი, აუჩქარებელი, ფრთხილი ორგანიზატორული მუშაობით (ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 31, გვ. 35).

ამ ორგანიზატორული მუშაობის ჩატარება წვრილი ერთპიროვნული მეურნეობების სოციალიზმის რელსებზე გადასაყვანად შეეძლო მხოლოდ კომუნისტურ პარტიას.

„მილიონების და ათეული მილიონების ჩვეულების ძალა, — წერდა ლენინი, — ყველაზე საშინელი ძალაა. ასეთი ბრძოლის წარმატებით წარმოება შეუძლებელია; თუ არა გვყავს რკინისებური და ბრძოლაში გამოწრთობილი პარტია, ისეთი პარტია, რომელიც სარგებლობს თავისი კლასის ყველა პატიოსანი ელემენტის ნდობით, თუ არა გვყავს პარტია, რომელსაც შეუძლია, თვალყური ადევნოს მასის განწყობილებას და გავლენა მოახდინოს მასზე" (იქვე, გვ. 35-36).

საბჭოთა სახელმწიფოებრივმა წყობილებამ უდიდესი შესაძლებლობა მისცა მასებს თვითმოქმედებისა და შემოქმედებითი შრომისათვის. ამ საფუძველზე წარმართა პარტიამ სოციალიზმის მშენებლობა. ლენინი აღნიშნავდა, რომ სოციალიზმის აშენება შეუძლიათ მხოლოდ მშრომელთა ათეულ მილიონებს, პარტიის დამსახურება კი იმით გამოიხატებოდა, რომ მას ხელმძღვანელობა გაეწია მასებისათვის სოციალიზმის მშენებლობაში.

კომუნისტური პარტია, იდგა რა სოციალიზმის მშენებელი მასების ინტერესების სადარაჯოზე, ხელმძღვანელობდა მათ კლასობრივი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, არწმუნებდა მასებს სოციალიზმის სიდიადეში, აღაფრთოვანებდა მუშათა და გლეხთა მილიონებს ნათელი მომავლისათვის ბრძოლის მაგალითებით.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა სახელმწიფომ შეძლო მოკლე დროში აღედგინა იმპერიალისტური და სამოქალაქო ომებისაგან დანგრეული მეურნეობა. მაგრამ სოციალიზმის მშენებლობა ერთ ქვეყა- [illegible]

[illegible] კლასისა და მშრომელი გლეხობის ამ გიგანტურ შემოქმედებით შრომას წარმართავდა.

საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოში განხორციელებულია ნამდვილი სახალხო მმართველობა. საბჭოთა კონსტიტუცია უზრუნველყოფს საბჭოთა მოქალაქის შრომის, დასვენების და განათლების უფლებას. კონსტიტუციის საფუძველზე საბჭოთა მოქალაქე ავადმყოფობის, შრომისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში და მოხუცებულობისას მატერიალურად უზრუნველყოფილია.

საბჭოთა ხალხის, ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების უდიდესი გამოცდა იყო სამამულო ომი. კომუნისტური პარტია გახდა ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი საყოველთაო-სახალხო ბრძოლისა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. პარტიამ გააერთიანა და წარმართა საბჭოთა ხალხის მთელი ძალები და საშუალებანი ვერაგი მტრის გასანადგურებლად. დიდი სამამულო ომის მსვლელობაში კომუნისტური პარტია ხალხისათვის კიდევ უფრო მახლობელი, კიდევ უფრო მშობლიური გახდა. პარტიისა და ხალხის მჭიდრო კავშირმა უზრუნველყო ამ ომში საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება.

ომისშემდგომ პერიოდში პარტიის მიზანი იყო გადამწყვეტი ღონისძიებანი გაეტარებინა ომისაგან დაზარალებული საწარმოების, ქალაქებისა და სოფლების აღსადგენად, სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. ეს ამოცანა პარტიამ და ხალხმა ბრწყინვალედ შეასრულეს. ომისშემდგომი წლები გახდა ახალი დიდი მიღწევებისა და საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების წლები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ, რომელიც უდიდეს ისტორიულ მოვლენას წარმოადგენს პარტიისა და საბჭოთა ხალხების ცხოვრებაში და ამასთანავე საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში, შეაჯამა უკანასკნელი 3 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის დიდი მიღწევები მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში და მისცა დირექტივები საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის განხორციელებისათვის.

მსოფლიოს ორი ეკონომიური სისტემის — სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების შეჯიბრებაში აშკარად ჩანს სოციალისტური სისტემის უპირატესობანი, წარმოების შეუდარებლად უფრო მაღალი ტემპებით ზრდა. კაპიტალური დაბანდების თითქმის ასი პროცენტით გაზრდამ მეხუთე ხუთწლედში, შრომის ნაყოფიერების ამაღლებამ და სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების საგრძნობლად შემცირებამ უზრუნველყო სახალხო მეურნეობის ახალი აღმავლობა. მეექვსე ხუთწლედში პარტიის მიერ დასახულია სოციალისტური მრეწველობის, უპირველეს ყოვლისა, მძიმე ინდუსტრიის შემდგომი მძლავრი განვითარება.

ყრილობამ სოფლის მეურნეობის მუშაკებს მისცა გეზი — 1960 წელს მარცვლეულის წარმოება აიყვანონ 11 მილიარდ ფუთამდე და ბევრად გაადიდონ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. ამ გეგმის შესრულება უშუალოდ მიგვაახლოვებს იმასთან, რომ შევქმნათ მოსახლეობისათვის სურსათისა [illegible]

[illegible] ხალხებულითა და მადლობის გრძნობით შეხვდა ყრილობის გადაწყვეტილებას სამუშაო დღის შემცირების, მუშა-მოსამსახურეთა ხელფასისა და კოლმეურნეთა შემოსავლის გადიდების და სხვ. შესახებ.

პარტიული ცხოვრების ლენინური პრინციპების განხორციელებამ საშუალება მისცა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მოკლე ხნის მანძილზე აემაღლებინა და გაეძლიერებინა პარტიის ორგანიზატორული როლი, უზრუნველეყო მისი შეურყეველი, მზარდი გავლენა მასებზე. პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპის აღდგენას პარტიულ ცხოვრებაში. კოლექტიური ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპის გატარებისა და მასებზე პარტიის გავლენის ზრდის შედეგად მოპოვებულია ახალი დიდი გამარჯვებები.

პარტიის XX ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სოციალიზმი, თავისუფლებისმოყვარე ყველა ხალხის ეს სანატრელი საზოგადოებრივი წყობილება, უკვე გამოვიდა ერთი ქვეყნის ფარგლებიდან და გადაიქცა მსოფლიო სისტემად, რომელიც აერთიანებს სოციალიზმის გზით მიმავალ დემოკრატიულ ქვეყნებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ წამოაყენა მსოფლიო მშვიდობიანობისა და სახელმწიფოთა შორის მჭიდრო ეკონომიურ-კულტურული ურთიერთობის ლოზუნგი. ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა მსოფლიოს ორი სისტემის — სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობა.

ხალხებს არ უნდათ ომი. კომუნისტური პარტიის პოლიტიკა მიმართულია მშვიდობისა და ხალხთა შორის ძმური ურთიერთობის დასამყარებლად.

კომუნისტური პარტია, ისევე როგორც ყოველთვის, დგას ხალხთა ინტერესების სადარაჯოზე, მიუძღვის მათ ახალი გამარჯვებებისაკენ, როგორც მუშათა კლასისა და მთელი მშრომელი მასების ბელადი და ორგანიზატორი.

პროფ. ა. კიკვიძე.

# გაზეთების ფურცლებზე

### ფოთის ნავსადგურის რეკონსტრუქცია

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XX ყრილობის დირექტივები ითვალისწინებენ საზღვაო ტრანსპორტის სანავსადგურო-სანავმისადგომო მეურნეობის განვითარების დიდ სამუშაოებს. ჩვენი ქვეყნის სხვა ნავსადგურებთან ერთად პარტიის XX ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულია ფოთის ნავსადგურის რეკონსტრუქცია და გაფართოება მისი ტვირთბრუნვის შესაბამისად.

ფოთის ნავსადგურის ხომალდ რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესახებ საქალაქო გაზეთ „მეზღვაური კოლხიდელის" ფურცლებზე მკითხველებს მოუთხრობს ნავსადგურის უფროსი ქ. რეკვავამ. მეექვსე ხუთწლედში ტვირთბრუნვის თითქმის ერთიორად გადიდებასთან დაკავშირებით ნავსადგური მნიშვნელოვნად გაფართოვდება. აშენდება ახალი მექანიზებული გემმისადგომები, გაფართოვდება რკინიგზის ქსელი. ყოველივე ეს უნდა გაკეთდეს იმ ვარაუდით, რომ წარმატებით განხორციელდეს კომპლექსური მექანიზაცია, რითაც მიღწეულ იქნება გემებისა და ვაგონების ორჯერ უფრო მალე დაცლა-დატვირთვა.

გარდა ამისა, გადაისინჯება ნავსადგურის სასაწყობო მეურნეობა, უფრო კეთილმოწყობილი გახდება და გაფართოვდება სატვირთო რაიონები, გაჩაღდება საცხოვრებელი სახლების, საყოფაცხოვრებო დანიშნულების და დამხმარე ნაგებობათა მშენებლობა.

### კოლმეურნეობის 30 წლისთავი

1905 წელს დიდი ქართველი მგოსნის ვაჟა-ფშაველას ინიციატივით ბევრმა ფშაველმა მიატოვა მთის სოფლების მოუსავლიანი ადგილები და შირაქში, შორეულ წარსულში უცხოელ დამპყრობთა მიერ აოხრებულ ნასოფლარზე დასახლდა. მაგრამ ცხოვრების სიდუხჭირემ, უმეცრებამ და უუფლებობამ ვერც ამ მადლიან ადგილზე გაახარა მთიელი გლეხობა. მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეძლეს მათ თავისუფლად და ბედნიერად მოეწყოთ თავიანთი ცხოვრება. 1926 წელს სოფელ ზემო ქედში სოფლის მშრომელთა გადაწყვეტილებით ჩამოყალიბდა კოლექტიური მეურნეობა. მას ი. ბ. სტალინის სახელი ეწოდა.

ამას წინათ ზემოქედელებმა დიდი ზეიმით აღნიშნეს თავიანთი კოლმეურნეობის ჩამოყალიბების 30 წლისთავი.

ზემოქედელ მშრომელთა ცხოვრებაში ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას ფართოდ გამოეხმაურა წითელწყაროს რაიონული გაზეთი „ახალი შირაქი", რომელმაც საინტერესო მასალები გამოაქვეყნა კოლმეურნეობის, მისი ადამიანების იმ წარმატებებზე, რომლებსაც მათ მიაღწიეს.

თუ პირველ ხანებში არტელი რამდენიმე ასეული ჰექტარი მიწის ფართობს ფლობდა, ახლა ზემო ქედის კოლმეურნეობის განკარგულებაშია 20.374 ჰექტარი ფართობი, აქედან 6.500 ჰექტარი სახნავ-სათესია. შარშან კოლმეურნეობამ მარცვლეული კულტურების უხვი მოსავალი მოიყვანა: 4.092 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 18,3 ცენტნერი ხორბალი, კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა 5 მილიონ მანეთს მიაღწია.

პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული ზემოქედელი კოლმეურნეები პირობას იძლევიან ორი წლით ადრე გაანაღდონ მეექვსე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული დავალებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საუკეთესოდ მოვემზადოთ საგაზაფხულო თესვისათვის

## ჩამორჩენას ურიგდებიან

სამხრეთის რაიონებში კვლავ თოვლი დევს. როგორც ჩანს, ზამთრის გაჭიანურება თესვის ვადების შეკვეცას გამოიწვევს. ეს გაითვალისწინეს ასპინძის რაიონის მოწინავე მექანიზატორებმა და კოლმეურნეობებმა, რომლებიც კარგად მოემზადნენ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის. ასპინძის მტს-ის მეოთხე და მერვე სატრაქტორო ბრიგადების ტრაქტორისტებმა ვ. ბურდულმა, გ. სააკიანმა, ვ. ადვაძემ მაღალხარისხოვნად შეაკეთეს „დტ—54" მარკის ტრაქტორები და გავიდნენ საკოლმეურნეო მინდვრებზე სამუშაოდ. ისინი შეუფერხებლად მუშაობენ სოფელ ასპინძის კაგანოვიჩის სახელობის, სოფელ ერკოტის ცხაკაიას სახელობის და სოფელ ხერთვისის დიმიტროვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელების მინდვრებზე.

სოფელ ძველის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა შეაკეთეს მთელი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, გაძლიერებულ კვებაზე გადაიყვანეს მუშა პირუტყვი, კონდიციამდე აიყვანეს სათესლე მასალა, მინდვრად გაიტანეს 2 ათასი ტონა ორგანული სასუქი, გააჩაღეს მუშაობა ხეხილის ბაღებში.

მაგრამ ცალკეულ კოლმეურნეობათა წარმატებები არ იძლევა გულდამშვიდების საფუძველს. დაწესებული ვადის გასვლის მიუხედავად, რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში თესვისათვის მზადება სერიოზულად ჩამორჩება.

ყოველწლიურად მარცვლეულის დაბალი მოსავალი მოჰყავს სოფელ ტოლოშის ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობას. მეურნეობისადმი უხეიროდ გაძღოლის შედეგად აქ არც მიმდინარე წელს იგრძნობა საჭირო გარდატეხა. კოლმეურნეობა მზად არ არის თესვისათვის. გეგმით აქ ქერი 50 ჰექტარზე უნდა დათესონ. ნიადაგი დაუმუშავებელია, არ შეუტანიათ მასში ნაკელი. სოფლმომარაგების ახალციხის საწყობიდან არ შემოუზიდიათ მინერალური სასუქები.

— შარშან ნათესები გვალვამ დაგვიზიანა და თვითეულ ჰექტარზე 35 კილოგრამი მარცვლეული მივიღეთ. ასეთ პირობებში რა გასაკვირველია, რომ სათესლე მასალა არა გვყოფნიდეს, — გულდამშვიდებით აცხადებს კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. მელიქიძე.

სოფელ ტოლოშის კოლმეურნეობას არც ბოსტნეულისა და ერთწლიანი ბალახების თესლი მოუმარაგებია.

ამ კოლმეურნეობის ეკონომიკაში დიდი ხვედრითი წონა აქვს მებაღეობას. მაგრამ იმის გამო, რომ აქ არ იცავენ ხეხილის დამუშავების აგროტექნიკას, წლითიწლობით ხილის დაბალ მოსავალს იღებენ. არ წარმოებს ხეხილის ძირების შემობარვა, გასხვლა, შეთეთრება, ზეთოვანი ემულსიით შეწამლვა. ახალგაზრდა ნარგავები შემოუკავებელია და მათ პირუტყვი ანადგურებს.

სოფელ ნაქალაქევის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობას არ შეუდგენია ხვნა-თესვის კალენდარული გეგმა. მთის რელიეფი აქ მექანიზაციის გატარების შესაძლებლობას არ იძლევა. ამიტომ 108 ჰექტარზე ქერი ცოცხალი გამწევი ძალით უნდა დათესონ. მოხნული აქვთ უმნიშვნელო ფართობი. მოუგვარებელია შრომის აღრიცხვა. მიმდინარე წელს გამომუშავებული შრომადღეები დღემდე არ შეუტანიათ კოლმეურნეთა შრომის წიგნაკებში. არც გამომუშავების ნორმები დაუმტკიცებიათ საერთო კრებაზე.

სოფელ საროს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში საგაზაფხულო თესვის ჩატარებისა და ხეხილის ახალი ბაღის გაშენების კარგი გეგმა შეადგინეს, მაგრამ კოლმეურნეებს არ რაზმავენ ამ სამუშაოთა შესასრულებლად.

მსგავსი სურათია რაიონის სხვა კოლმეურნეობებშიც. სოფელ დამალას კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობას თესვისათვის საკმაო თესლი არა აქვს. ლაბორატორიაში წარმოდგენილი 130 ცენტნერიდან უკონდიციო აღმოჩნდა 40 ცენტნერი ქერის თესლი. ჭობარეთის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მიერ წარმოდგენილი 280 ცენტნერი ქერის თესლიდან 80 ცენტნერი უკონდიციოა. ხიზაბავრის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას ჯერაც არ მოუმარაგებია სიმინდის თესლი. სიმინდის თესლი არა აქვთ აგრეთვე სოფელ თოკის ხრუშჩოვის სახელობის და სოფელ ორგორის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობებს.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მკვეთრად გადიდების ამოცანის გადაწყვეტა, რაც პარტიის XX ყრილობამ დაგვისახა, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საგაზაფხულო თესვის შემჭიდროებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩატარებაზე.

**ე. ხარებავა,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

## გაზაფხული ქალაში შედის

ქუთაისი. (საკ. კორ.). პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა საპასუხოდ ახალი ძალით გაჩაღდა შეჯიბრება საყულიის, ქვიტირის, ზარათის, ჭოგნარის, რიონის და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში.

სოფელ საყულიის კოლმეურნეობა „კომუნარი" წელს ექვსასამდე ჰექტარ სხვადასხვა კულტურას თესავს. აქედან სიმინდს უჭირავს 480 ჰექტარი. კოლმეურნეობაში განზრახული აქვთ სიმინდი მთლიანად კვადრატულ-ბუდობრივად დათესონ.

დიდი გამოცოცხლებაა კოლმეურნეობის ბოსტანში, რომელსაც ასი ჰექტარი უჭირავს. დამზადებულია ტორფნეშომპალის 120 ათასი ქოთანი და დაიწყო საადრეო ბოსტნეულისა და ზოგიერთი მარცვლეულ-პარკოსანი კულტურის თესვა. უკვე დათესილია 15 ჰექტარი ხახვი, 5 ჰექტარი სტაფილო, 20 ჰექტარი მწვანე ბარდა.

ქვიტირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც სიმინდის ყანებს, ჩაის პლანტაციებსა და ბოსტანს ხუთასზე მეტი ჰექტარი უჭირავს, დროულად მოამზადეს თესვისათვის ნიადაგი, მინდვრად გაიტანეს 200 ტონა სასუქი, მოიმარაგეს თესლი და დააკომპლექტეს ბრიგადები.

გაზაფხულისათვის კარგად მოემზადნენ აგრეთვე ჭოგნარის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც რაიონში ყველაზე ადრე შეუდგნენ თესვას. უკვე დათესილია პირველი 15 ჰექტარი.



მახარაძის მტს-ის ტრაქტორისტს ტ. მეგრელაძეს გასულ წელს გამომუშავებულ შრომადღეებზე ერგო ფულად 40 ათასი მანეთი და 3.100 კილოგრამი მარცვლეული, ტრაქტორისტს ქ. მუსხელიშვილს — 43 ათასი მანეთი და 3.000 კილოგრამი მარცვლეული, ტრაქტორისტს ე. საჯაიას — 35 ათასი მანეთი და 2.800 კილოგრამი მარცვლეული. **სურათზე:** (მარცხნიდან მარჯვნივ) მტს-ის მოლარე ა. კალანდარიშვილი ტ. მეგრელაძეს, ქ. მუსხელიშვილს და ე. საჯაიას 1955 წელს შესრულებული სამუშაოებისათვის საბოლოო ანგარიშს უსწორებს.

ფოტო პ. ლუცენკოსი.

## მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში

ახალი, დიდი ამოცანებია დასახული თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტისა და მისი ქუთაისის ფილიალის წინაშე. ამჟამად აქ მთავარი ყურადღება ექცევა სკოლაში პოლიტექნიზაციის დანერგვის საკითხს. ინსტიტუტს აქვს ლაბორატორიები და 15 კაბინეტი — პოლიტექნიკური სწავლების, დაწყებითი კლასების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლების, ფიზკულტურისა და სპორტის და ხატვა-ხაზვისა, სასწავლო კინო და სხვ. ახლა ეწყობა პოლიტექნიკური სწავლებისათვის შესაფერი ბაზა — მანქანათმცოდნეობის და ელექტროტექნიკური სახელოსნოები.

ინსტიტუტში ამჟამად მუშაობს კურსები, სადაც მეცადინეობენ საშუალო სკოლების სასწავლო ნაწილის გამგეები და ის მასწავლებლები, რომლებიც პოლიტექნიკურ სწავლებასთან დაკავშირებით ასწავლიან ახალ საგნებს — მანქანათმცოდნეობის საფუძვლებს, სოფლის მეურნეობის საფუძვლებს (მემცენარეობა და მეცხოველეობა) და ელექტროტექნიკას. რესპუბლიკის ყველა რაიონიდან ამ კურსებზე მოწვეულია 70 მასწავლებელი. ამდენივე მეცადინეობს ქუთაისის ფილიალში.

ინსტიტუტი დიდ დახმარებას უწევს რაიონის სკოლებს, გზავნის იქ სხვადასხვა საგნების მეთოდისტებს, მიწერ-მოწერა აქვს რაიონის მასწავლებლებთან.

წლის განმავლობაში სამუშაოდან მოწყვეტით და მოუწყვეტლივ უნდა გადამზადდეს დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების 5.000-მდე მასწავლებელი. ინსტიტუტი ამჟამად ემზადება საზაფხულო კურსების მოსაწყობად, რომლებსაც გაივლიან ყველა საფეხურის სკოლების მასწავლებლები.

**ც. ვაჟარაძე.**

## ოთხი ბენეფისი

მიმდინარე სეზონში თბილისის თეატრებში გაიმართა რამდენიმე ბენეფისი.

ამას წინათ რუსთაველის სახელობის თეატრმა მაყურებელთან ერთად აღნიშნა მსახიობ ნოდარ ჩხეიძის საინტერესო და მაღალოსტატური შემოქმედება. საღამომ კიდევ ერთხელ ცხადყო, რა პოპულარობით სარგებლობს იგი მაყურებლებში.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართული ორი საბენეფისო საღამო მიეძღვნა ცნობილ მომღერალს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს ნადეჟდა ხარაძეს და ბალეტის გამოჩენილ მსახიობს, სტალინური პრემიის ლაურეატს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს ვერა წიგნაძეს.

ამ დღეებში ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა ამავე თეატრის ორკესტრის საბენეფისო საღამო.

საბენეფისო საღამოზე მაყურებელი სიყვარულით მიესალმა 72 ბენეფიციანტ მსახიობს, რომელთა შორის არის ორკესტრის მთავარი კონცერტმეისტერი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ლ. სტუპელი. იგი 36 წელია უკრავს ამ ორკესტრში. აქ 55 წელზე მეტი გაატარა და ახლაც ახალგაზრდული ენერგიით უკრავს ფაგოტს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მ. ნეიმანი. მოღვაწეობის 45 წელზე მეტი სტაჟი აქვს მ. შაეს. იგი დღემდე უცვლელად ასრულებს თავის პარტიას ოპერა „აბესალომ და ეთერის" ყველა სპექტაკლში, რომელიც კი თბილისში შესრულებულა.

20-25 წელია მოღვაწეობენ ამ ორკესტრში ა. ზარაბაში, ლ. ხარჩენკო, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ტ. სენოჟენსკი, ა. ნეიმანი, ბ. დობროვოლსკი, პ. ნოვიკოვი, მ. შვარცმანი, ე. სმირნოვა, შ. მიხეილიძე, ვ. ბრეგაძე, ი. ბარამიძე, ე. ფარემუზოვა, ზ. რატიშვილი, მ. მაკეევი, დ. ცქიტიშვილი და სხვ.

ორკესტრის ძველი მსახიობები — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები გ. გვენცაძე და ვ. ხოროშვილი, მსახიობები ნ. სავჩენკო, ვ. მელენტიევი თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დოცენტები არიან. ბევრი მსახიობი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა მუსიკალურ ტექნიკუმებსა და სასწავლებლებში.

ამ საუცხოო მუსიკალური კოლექტივის შემოქმედებითი წარმატებებში დიდი ღვაწლი მიუძღვით თეატრის მთავარ დირიჟორს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს ო. დიმიტრიადის, დირიჟორებს — სტალინური პრემიის ლაურეატებს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეებს დ. მირცხულავას და შ. აზმაიფარაშვილს, დირიჟორ ვ. ფალიაშვილს. აქვე იმაღლებს პროფესიულ ოსტატობას ახალგაზრდა ნიჭიერი დირიჟორი ზ. ხუროძე.

საბენეფისო საღამოზე ორკესტრის მსახიობებს დიდი სიყვარულით მიესალმნენ ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტები, ქალაქის მუსიკალური და თეატრალური საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

**გ. ძნელაძე.**

## ტაშკენტიდან გაემგზავრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი

ტაშკენტი, 21 მარტი. (საკდესი). დღეს ტაშკენტიდან ქაბულში გაფრინდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი. ამხანაგ ა. ი. მიქოიანს ახლავან უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე შ. რ. რაშიდოვი, დესპანი ფ. პ. დოლია.

## ქაბულში ჩავიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი

ქაბული, 21 მარტი. (საკდესი). დღეს ქაბულში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი და მისი თანმხლები პირები. ქაბულიდან ამხ. მიქოიანი და მისი თანმხლები პირები შემდეგ გაემგზავრებიან კარაჩიში პაკისტანის რესპუბლიკად გამოცხადების გამო დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად.

ქაბულის აეროდრომზე ამხანაგ ა. ი. მიქოიანსა და მის თანმხლებ პირებს შეხვდნენ: ავღანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე მუჰამედ მეივანდვალი, ავღანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ტარზი, სსრ კავშირის ელჩი ავღანეთში მ. ვ. დეგტიარი და ქაბულში საბჭოთა საელჩოს დიპლომატიური შემადგენლობა, აგრეთვე მთელ რიგ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, რომლებიც აკრედიტებული არიან ქაბულში.

## ა. ი. მიქოიანი ქაბულში

ქაბული, 21 მარტი. (საკდესი). როგორც ქაბულის რადიომ გადასცა, დღეს ქაბულში ჩამოსული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი დღისით შეხვდა პრემიერ-მინისტრს მუჰამედ დაუდსა და ავღანეთის მთავრობის სხვა წევრებს. ა. ი. მიქოიანმა და მ. დაუდმა განიხილეს საკითხები, რომლებიც ორივე ქვეყნის ურთიერთობას ეხება.

## თათბირი აღმოსავლეთის ატომგულის საკვლევი ინსტიტუტის მოწყობის საკითხზე

20 მარტს მოსკოვში გაიხსნა საერთაშორისო თათბირი აღმოსავლეთის ატომგულის საკვლევი ინსტიტუტის დაარსების საკითხზე.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობენ როგორც წარმომადგენლები:

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკისა — პრემიერ-მინისტრის მოადგილე და სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე სპირო კოლეკა, მეცნიერებათა ინსტიტუტის თავმჯდომარის მოადგილე პეტრიტ რადოვიცკა, პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკისა და ფიზიკის კათედრის გამგე პეტრაკ პილიკა;

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა — კულტურის მინისტრი რუბენ ავრამოვი, მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი გიორგი ნაჯაკოვი, პროფესორი ემილ ჯაკოვი, პროფესორი ხრისტო ხრისტოვი;

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე იშტვან ხიდაში, ქიმიური და ენერგეტიკული მრეწველობის მინისტრის მოადგილე იანოშ შებეშტიენი, ფიზიკის ცენტრალური ინსტიტუტის დირექტორი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი იშტვან კოვაჩი, ფიზიკის ცენტრალური ინსტიტუტის განყოფილების გამგე ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ლენარდ პალი;

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა — სტატს-მდივანი ერნსტ ვოლფი, მთავრობასთან არსებული ატომის ენერგიის საკითხთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პროფესორი, დოქტორი გუსტავ ჰერცი, მთავრობასთან არსებული ატომის ენერგიის საკითხთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი, დოქტორი რობერტ რომპე, მთავრობასთან არსებული ატომის ენერგიის საკითხთა სამეცნიერო საბჭოს მდივანი, ატომგულის კვლევისა და ატომგულის ტექნიკის უწყების ხელმძღვანელი დიპლომირებული ფიზიკოსი კარლ რამბუში, ატომგულის ფიზიკის ცენტრალური ინსტიტუტის დირექტორი დოქტორი ჰაინც ბარვიხი;

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა — გეოლოგიის მინისტრის მოადგილე ლიუ ძე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკა-მათემატიკურ და ქიმიურ მეცნიერებათა განყოფილების წევრი პროფესორი ციან სან-ციანი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკა-მათემატიკურ და ქიმიურ მეცნიერებათა განყოფილების წევრი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე პროფესორი ვენ ხუან-უ, ჩინეთის სახალხო მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკა-მათემატიკურ და ქიმიურ მეცნიერებათა განყოფილების წევრი პროფესორი ჯაო ჯუნ-იაო;

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა — ქიმიური მრეწველობის მინისტრი ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ტენ დიუნ თხიაკი, კიმ ირ სენის სახელობის უნივერსიტეტის პრორექტორი ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი კიმ ხენ ბონი, განათლების სამინისტროს ტექნიკური განათლების სამმართველოს უფროსი ფიზიკოსი კიმ დონ უნი;

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა — პრემიერ-მინისტრის მოადგილე სოდნომინ ავარზიდი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა კომიტეტის ნამდვილი წევრი ნამსარაინ სოდნომი, ინჟინერი ნამსარაინ ტოგო;

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა—ეკონომიური დაგეგმვის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე მეჩისლავ ლეში, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი ანდრია სოლტანი, პროფესორი ბრონისლავ ბურასა;

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა — სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, მინისტრთა საბჭოსთან არსებული ატომგულის ენერგიის კომიტეტის თავმჯდომარე გასტონ მარინი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ტუდორ ტანასესკუ, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ალექსანდრუ საზიელევიჩი, ატომგულის ენერგიის კომიტეტის მდივანი პაულ დრაგიჩესკუ, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ადრიან გელბერგი;

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მთავარი სწავლული მდივანი აკადემიკოსი ა. ვ. ტოპჩიევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ს. კ. ცარაპკინი, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი დ. ი. ბლოხინცევი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. ი. ვექსლერი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მ. გ. მეშჩერიაკოვი;

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა — ენერგეტიკის მინისტრი დოქტორი ფრანტიშეკ ვლასაკი, ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების მთავრობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ინჟინერი ირჟი ბაუერი, ატომგულის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების კომიტეტის წევრი ინჟინერი ჩესტმირ შიმანე, ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი ვაცლავ პეტრჟილკა, ინჟინერი ფრანტიშეკ კოვარჟი.

თათბირმა მოისმინა პროფესორ დ. ი. ბლოხინცევის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრის ს. კ. ცარაპკინის, აკადემიკოს ა. ვ. ტოპჩიევის მოხსენებანი აღმოსავლეთის ატომგულის საკვლევი ინსტიტუტის დაარსებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

21 მარტს აღმოსავლეთის ატომგულის საკვლევი ინსტიტუტის მოწყობის საკითხზე საერთაშორისო თათბირის მონაწილეებმა ინახულეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ატომგულის პრობლემების ინსტიტუტი და ელექტროფიზიკური ლაბორატორია.

ატომგულის პრობლემების ინსტიტუტში თათბირის მონაწილეებმა დაათვალიერეს ცენტრალური კორპუსი, სადაც არის დამუხტული ნაწილაკების დამჩქარებელი — სინქროციკლოტრონი, რომლის პროტონების ენერგია უდრის 680 მილიონ ელექტრონვოლტს, ლაბორატორიის კორპუსი და ენერგეტიკის კორპუსი, საიდანაც ხორციელდება სინქროციკლოტრონის ყველა აგრეგატის კვება და დისტანციური მართვა. თათბირის მონაწილენი გაეცნენ უნიკალურ აპარატურას, რომელსაც იყენებენ კვლევისათვის მაღალი ენერგიების ნაწილაკების ფიზიკაში. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ატომგულის პრობლემების ინსტიტუტში ახსნა-განმარტებას იძლეოდნენ ინსტიტუტის დირექტორი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მ. გ. მეშჩერიაკოვი და მისი მოადგილეები: ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი ვ. პ. ჯელეპოვი, პროფესორი მ. ს. კოზოდაევი და ინსტიტუტის მთავარი ინჟინერი ა. ც. ჩესტნოი.

თათბირის მონაწილეებმა დაათვალიერეს აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ელექტროფიზიკური ლაბორატორია, რომლის მშენებლობა მთავრდება, და მისი უნიკალური მოწყობილობა, სადაც მათ დაწვრილებითი ახსნა-განმარტება მისცეს ნაწილაკების ახალი დამჩქარებლის — სინქროფაზოტრონის შესახებ, რომლის პროტონების საანგარიშო ენერგია უდრის 10 მილიარდ ელექტრონვოლტს. თათბირის მონაწილეებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს დამჩქარებლის რგოლური ელექტრომაგნიტი, რომელიც 36 ათას ტონას იწონის და რომლის დიამეტრი თითქმის 60 მეტრს აღწევს, აგრეთვე დამჩქარებლის ინჟექტორი და ვაკუუმური კამერა. დაათვალიერეს აგრეთვე ენერგეტიკის კორპუსი, სადაც განლაგებულია სინქროფაზოტრონის საკვები მოწყობილობა და მართვის ცენტრალური პულტი. ელექტროფიზიკურ ლაბორატორიაში ახსნა-განმარტებას იძლეოდნენ მისი დირექტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. ი. ვექსლერი, მისი მოადგილე ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი ვ. ა. პეტუხოვი, ინჟინერი ნ. ი. პავლოვი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ა. ვ. ჩუვილო და ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატები ს. მ. რუბჩინსკი და ა. მ. სტოლოვი.

22 მარტს თათბირი მუშაობას განაგრძობდა.

### კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

## ნარკვევები ხალხთა მეგობრობაზე

ხალხურ ფოლკლორში არაერთი ლექსი, ზღაპარი და ანდაზა გვხვდება, რომელიც ქება-დიდებას ასხამს მეგობრობას, ძმობას, შეერთებულ შრომას. საკუთარი ძალებისადმი ხალხის ურყევი რწმენაა გამოხატული ლექსში „ხალხმა ი... ქნა, რას არ იზამს — ზღვაში გადგამს დედამიწას, ზღვას ხმელეთზე გადმოიყვანს". ან კიდევ „წუთისოფელი ესეა — ღამე დღეს უთენებია, რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია". ოდესღაც ამ სიმღერების მთქმელი გუმანით გრძნობდა, თუ რა დევგმირული ძალის პატრონია ხალხი, თუ რა დიდი ძალაა ხალხთა მეგობრობა. მაგრამ ეს ძალა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე შებოჭილი იყო. დიდმა ოქტომბერმა, ჩვენმა მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ მონობის ბორკილები ახსნა შრომას და კეთილშობილური სასწაულები ჩაადენინა ხალხთა მეგობრობის გრძნობებით შედუღაბებულ საბჭოთა ადამიანებს.

ხალხთა მეგობრობის დროშით იმარჯვებდნენ ჩვენი ადამიანები მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომში, ამავე დროშით ძლევდნენ ისინი ყოველგვარ სიძნელეებს და წარმატებით აშენებდნენ სოფლად და ქალაქად ახალ ცხოვრებას. ვოლგა-დონზე, კახოვკაში, ყამირ მიწებზე, მეექვსე ხუთწლედის განხორციელებისათვის მეგობრულად შრომობენ სხვადასხვა ერის წარმომადგენლები, კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანები.

ხალხთა მეგობრობის, ძმური შრომისა და ბრძოლის ეს პროცესები ფართოდ აისახა საბჭოთა ლიტერატურაში. არაერთი რომანი, მოთხრობა, პიესა და კინოფილმი შეიქმნა ამ თემაზე. ვასილ აჟაევის ცნობილ რომანში „მოსკოვიდან დაშორებით" ჩვენ ვხედავთ, რუსი კოვშოვი და ქართველი ბერიძე როგორ დაამობილა სამშობლოს დაცვის ინტერესებმა, ასევე ერთი გრძნობით და სულისკვეთებით უტევენ საქართველოს საზღვრისპირა სოფელში შემოჭრილ მტერს გორაკოვი და ქარდუა ლეო ქიაჩელის რომანში „მთისკაცი". ხალხთა მეგობრობას, სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა ძმური შრომის რამდენი მეტყველი ეპიზოდი, რამდენი ნათელი სურათია დახატული სტალინური პრემიის ლაურეატის ალექსანდრე ჭეიშვილის ცნობილ რომანში „ლელო".

ალექსანდრე ჭეიშვილის შემოქმედების ერთი მთავარი ლეიტმოტივი გახდა ხალხთა მეგობრობის თემა. ამას მკაფიოდ მეტყველებს მწერლის ნარკვევებისა და წერილების კრებული, რომელიც ამას წინათ გამოსცა სახელგამმა.

მწერალს ბევრი უმგზავრია ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა მხარეში, გულდასმით გასცნობია ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის მრავალ რთულ დარგს, შეხვედრია მრავალ მოწინავე ადამიანს და საინტერესო მხატვრული ნარკვევები შეუქმნია. ა. ჭეიშვილის ნარკვევებში მხატვრული სიმართლით არის ასახული ქართველი და მოძმე რესპუბლიკების ხალხთა თანამეგობრობა შრომაში.

მწერალი დიდი სიყვარულით და მხატვრული სიზუსტით აგვიწერს კომუნიზმის დიად მშენებლობებს, ამ მშენებლობათა მოწინავე ადამიანებს. ჩვენს თვალწინ გადის ყამირი მიწების ათვისებაში, სამგორის სარწყავ სისტემასა და ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლობაში ჩაბმულ ადამიანთა მთელი წყება. ნარკვევებში ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ხელიხელჩაკიდებულად, როგორი ერთსულოვნებითა და ენთუზიაზმით მუშაობენ საერთო-სახალხო საქმისათვის რუსები, უკრაინელები, ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, ყაზახები, უზბეკები და სხვ.

ამ სულისკვეთებით არის გამთბარი ალექსანდრე ჭეიშვილის თითქმის ყველა ნარკვევი, კერძოდ, „გზა მშვიდობისა, ამხანაგებო!", „სიცოცხლე მოდის სამგორში", „როგორ იბადებიან მთები" და „დღეები უკრაინაში". სამგორის სახალხო მშენებლობისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ საუკეთესო ნარკვევში მწერალი მართებულად შენიშნავს: „მთელი დღე აქაურობას ავსებდა შრომის გუგუნი. გვიან ღამითაც არ წყდებოდა ხალხის ჟრიამული. ფანდურის ხმაზე გაისმოდა სხვადასხვა კუთხის სიმღერები ხალხთა მეგობრობაზე. ეს დიადი მეგობრობა იგრძნობა ყოველ ნაბიჯზე, არა მარტო სამგორის არხის მშენებლობაზე, არამედ რუსთავშიც, ხრამჰესშიც, ყველა მხარეში, კომუნიზმის მშენებლობის ყველა უბანზე. აქ ქართველებთან ერთად შრომობდნენ რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, სომხები, აზერბაიჯანელები. ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა კუთხიდან მოედინებოდა სამშენებლო მასალები და ურთულესი მექანიზმები, რომლებშიც ჩაქსოვილია საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის შრომა".

დავით გურამიშვილისა და ლესია უკრაინკას სახელები ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის სიმბოლოებად გადააქციეს. ყოველწლიურად აღინიშნება ამ ორი მწერლის დაბადების თუ გარდაცვალების თარიღები უკრაინასა და საქართველოში. გურამიშვილის ერთ-ერთ ასეთ საიუბილეო თარიღზე უკრაინაში ჩასულ მწერალს საშუალება ჰქონდა გულდასმით გასცნობოდა ჩვენი მოძმე რესპუბლიკის ხალხთა ცხოვრებას, მათ ბედნიერ აწმყოსა და მომავალს. მწერალი ლაღი ქართულით, ხატოვანი სიტყვით აგვიწერს უკრაინის მომაჯადოებელ პეიზაჟებს, გვაცნობს მის მდიდარ სოფლის მეურნეობას, დნეპრის ნაპირებზე გაჩაღებულ მშენებლობას, კახოვკის მომავალ გეგმებს.

ამ დიდ აღმშენებლობითს ძალას მწერალი, ცხადია, ხალხთა მეგობრობაში ხედავს. ავტორი გვაცნობს კახოვკის მშენებლობის ენთუზიასტებს, ინჟინრებს მედვედევსა და ლევიცკის, რომლებიც თბილისის მშენებლობისა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებთან წულუკიძესთან, დოლიძესთან, ზოდელავასთან და ელბაქიძესთან ერთად ბევრ რთულ პრობლემას წყვეტენ. ქართველმა ჰიდროენერგეტიკოსებმა სერიოზული სამსახური გაუწიეს კახოვკელებს ბეტონის დასამზადებლად ადგილობრივი მასალების გამოყენებასა და დაბეტონების მეთოდების შემუშავებაში.

მწერალი ასევე სიყვარულით აგვიწერს მახარაძელ და გენიჩესკელ კოლმეურნეთა ტრადიციულ შეჯიბრებას, გვაცნობს უკრაინის სოფლის მეურნეობის მრავალ მოწინავე ადამიანს, რომლებიც არაერთხელ ყოფილან საქართველოში სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შემოწმებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით. კითხულობთ ალექსანდრე ჭეიშვილის ნარკვევებს და თვალწინ გეშლებათ ჩვენი ძლევამოსილი სამშობლოს თვალწარმტაცი მხარეები ლამაზი ბუნებით, მძლავრი ინდუსტრიით, სოფლის მეურნეობით და, რაც მთავარია, ამ სიმდიდრეთა შემოქმედი საბჭოთა ადამიანებით. ყოველივე ამის შემდეგ არ შეიძლება ბუნებრივად არ მოგეჩვენოთ მწერალ-მოგზაურის შემდეგი სიტყვები: „ყველგან, ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მეგობრულად გვხვდებოდნენ. ყველგან ვგრძნობდით იმ გულითად, მშობლიურ ატმოსფეროს, რომელიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ერის შვილს აგრძნობინებს თუ რაოდენ გააფართოვა ოქტომბრის რევოლუციამ სამშობლოს ფარგლები, რაოდენ გაღრმავა ჩვენმა ეპოქამ ყველა კეთილშობილი ადამიანისათვის ძვირფასი სიტყვის—სამშობლოს შინაარსი, თუ რაოდენ გაამდიდრა ხალხთა მეგობრობამ ამ განუმეორებელ სიტყვასთან დაკავშირებულ გრძნობათა და განცდათა სამყარო".

არ შეიძლება მწერალს არ მოვუწონოთ მასალის დაბეჯითებით შესწავლისა და ჩვენი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი მოვლენების თუ დეტალების მხატვრულად განზოგადების უნარი. ა. ჭეიშვილის ნარკვევებში — „იალაღებისაკენ", „კახეთის ფერები", „კოლმეურნეები აკადემიის ტრიბუნაზე" — სურათები დანახულია მწერლის მახვილი თვალით, ჩანს თანამედროვე ცხოვრების, საბჭოთა ადამიანების ფსიქოლოგიისა და ხასიათების ზუსტი ცოდნა. ეს ნარკვევები, ისევე როგორც ა. ჭეიშვილის სხვა ნარკვევები გამთბარია ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით. ნარკვევებში მხატვრული დამაჯერებლობით არის ნაჩვენები, თუ როგორ ამაღლდა გუშინდელი მწყემსი, რიგითი ადამიანი საზოგადოებრივი ყოფის შეგნებამდე, როგორ გახდა კომუნისტური საზოგადოების შეგნებული მშენებელი, ხალხთა მეგობრობის იდეების სრულყოფილად მატარებელი.

ხალხთა მეგობრობა ჩვენი საბჭოთა მწერლების შთაგონების ერთ-ერთი უშრეტი წყაროა. ხალხთა მეგობრობა იყო და არის საბჭოთა მწერლობის ძირითადი და წამყვანი თემა. პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შთაგონებული საბჭოთა მწერლები ამ კეთილშობილურ თემას მიუძღვნიან ღირსეულ, მაღალმხატვრულ და მაღალიდეურ ნაწარმოებებს. ჩვენი მკითხველი საბჭოთა მწერლებისაგან მოელის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის გამომხატველ ახალ სრულყოფილ ნაწარმოებებს. მხატვრული სიტყვის ოსტატები მოვალენი არიან ყოველმხრივ დააკმაყოფილონ საბჭოთა მკითხველის ეს სრულიად კანონზომიერი მოთხოვნა და სურვილები.

**ელ. უბილავა.**

## ანტონი იდენის განცხადება ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალი გამგზავრების შესახებ ინგლისში

ლონდონი, 20 მარტი. (საქტაგი). უპასუხა რა შეკითხვებზე თემთა პალატაში, ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ანტონი იდენმა დღეს განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობის აზრით, სსრ კავშირის ხელმძღვანელ მოღვაწეთა მომავალი ვიზიტი ინგლისში შესაძლებელს გახდის სერიოზულ მოლაპარაკებას ორივე ქვეყნის მთავრობებს შორის.

იდენმა აღნიშნა, რომ ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ინგლისში სტუმრად იქნებიან 18-დან 27 აპრილამდე ინგლისის მთავრობის მიწვევით. მათი მოგზაურობის პროგრამა, კერძოდ, ითვალისწინებს მოლაპარაკებას პრემიერ-მინისტრის ოფიციალურ რეზიდენციებში — ლონდონში და ქალაქგარეთ — ჩეკერსში. საბჭოთა სტუმრები ეწვევიან ვესტმინსტერს და ალბათ დაესწრებიან თემთა პალატის სხდომას.

იდენმა დაწვრილებით ილაპარაკა ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ინგლისში მოგზაურობის პროგრამაზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ვიზიტის მიზანია იმ დიდმნიშვნელოვანი პრობლემების განხილვა, რომლებიც ახლა მსოფლიოს თიშავენ.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა ჰეიტსკელმა თქვა, რომ ლეიბორისტები მხურვალედ მიესალმებიან პრემიერ-მინისტრის განცხადებას და მიაჩნიათ, რომ სსრ კავშირის ხელმძღვანელ მოღვაწეებთან მოლაპარაკებას დიდი მნიშვნელობა ექნება.

ლეიბორისტმა შინუელმა აგრეთვე განაცხადა, რომ ლეიბორისტული პარტია მიესალმება ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტს ინგლისში.

## ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალი გამგზავრებისათვის ინგლისში

ლონდონი, 20 მარტი. (საქტაგი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალი ვიზიტი დიდ ბრიტანეთში კვლავ ინგლისის საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია და იგი ყველგან მიაჩნიათ განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან მოვლენად ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში.

დიდ ბრიტანეთში სსრ კავშირის საელჩოსა და სავაჭრო წარმომადგენლობას მოსდით ინგლისის ქალაქების მუნიციპალიტეტების, სხვადასხვა ორგანიზაციისა და კერძო პირების წერილები, რომელთა ავტორები მიესალმებიან ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალ ჩამოსვლას დიდ ბრიტანეთში და სთხოვენ მათ ეწვიონ ამა თუ იმ ქალაქს, ორგანიზაციას ან საწარმოს.

ქალაქ კარდიფის (უელსი) ლორდ-მერი, იწვევს რა ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს კარდიფში, წერს, რომ ქალაქის მცხოვრებთ დიდი სურვილი აქვთ მიიღონ სტუმრები სსრ კავშირიდან და აცხადებს, რომ საბჭოთა ხელმძღვანელ მოღვაწეებს „უაღრესად გულთბილი სტუმართმოყვარეობით" მიიღებენ. კარდიფში მიწვევა მიღებულია აგრეთვე ქვანახშირის ეროვნული სამმართველოს (კარდიფში) თავმჯდომარის დ. მ. რიზისა და „კარდიფის საქმიან ადამიანთა კლუბის" საპატიო მდივნის ტრევორ უილიამსისაგან. უილიამსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კარდიფი უნივერსიტეტის ცენტრი და დედაქალაქია უელსისა—დიდი ბრიტანეთის ამ თავისებური ნაწილისა, რომელმაც თავისი ეროვნული ჩვეულებანი, ენა და კულტურა შეინარჩუნა. „საჭირო არ არის დავძინოთ, — წერს უილიამსი, — რომ თუ თქვენი გამოჩენილი თანამემამულენი გადაწყვეტენ ეწვიონ ჩემს ქვეყანას უელსს, მათ უაღრესად გულითად უელსურ სტუმართმოყვარეობას გავუწევთ". უილიამსი აგრეთვე წინადადებას იძლევა, რომ საბჭოთა სტუმრები ეწვიონ ადგილობრივი ფოლადსადნობი კომპანიის საწარმოებს, რომელიც დასავლეთ ევროპის ერთ-ერთი უდიდესი კომპანიაა, და ქვანახშირის მაღაროებს.

ქალაქ ლოუსტოფტის პროფკავშირთა საბჭო (ამ ქალაქში შენდება საბჭოთა კავშირის მიერ დაკვეთილი ტრაულერების დიდი პარტია) საბჭოთა ხელმძღვანელ მოღვაწეებს სთხოვს ეწვიონ მათ ქალაქს. ადგილობრივი გემთმშენებელი კომპანიის დირექტორი დოუსეტი თავის წერილში სსრ კავშირის საელჩოსადმი წერს, რომ იგი დიდად მოხარული იქნება გააკეთოს ყველაფერი, რათა მოაწყოს ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტი ლოუსტოფტში.

მიწვევა მიღებულია აგრეთვე საკურორტო ქალაქ ბრაიტონის მერისაგან, ქალაქ ბარკინგის (ესექსი) მუნიციპალური საბჭოსა და სხვებისაგან.

კვაკერთა საზოგადოების აღმასრულებელი კომიტეტი დიდ ბრიტანეთში სსრ კავშირის საელჩოს სახელზე გაგზავნილ წერილში იუწყება, რომ მან მიიღო რეზოლუცია, რომელშიც „მიესალმება მარშალ ბულგანინისა და ბ-ნ ხრუშჩოვის მეგობრულ ვიზიტს" და იმედს გამოთქვამს, რომ ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს მშვიდობის განმტკიცების და საბჭოთა და ინგლისელ ხალხებს შორის მეგობრობისა და ურთიერთგაგების დამყარების საქმეს.

ქალაქ ტორინის პროფკავშირთა რაიონული საბჭოს მდივანი ა. სეტონი წერს, რომ საბჭოს 6 მარტის სხდომაზე „გამოითქვა ერთსულოვანი სურვილი, რომ მარშალ ბულგანინისა და ბ-ნ ხრუშჩოვის მომავალი ვიზიტი წარმატებითი იყოს. ჩვენ ყველას იმედი გვაქვს, რომ ეს ვიზიტი განამტკიცებს ჩვენი დიდი ქვეყნების მეგობრულ კავშირს".

ბევრი წერილი მოდის სხვადასხვა კომერციულ და სამრეწველო საწარმოთაგან. სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობამ ლონდონში მიიღო „ასოშიეიტედ ბრიტიშ ენჯინირინგის" კომპანიის თავმჯდომარის წერილი, რომელშიც იგი სსრ კავშირის ხელმძღვანელ მოღვაწეებს იწვევს „ჰენრი მიდოუზ ლიმიტედის" საწარმოებში (ქალაქ ვულვერჰემპტონში), სადაც დიზელიანი მოტორები კეთდება. პრეზიდენტი „რუსეთ-ბრიტანეთის სავაჭრო პალატისა", რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ვაჭრობის განვითარებას ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის, სთხოვს ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს ესტუმრონ საუზმეზე ან ბანკეტზე, რომლებსაც მათ პატივსაცემად პალატის წევრები გამართავენ. მომავალი ვიზიტისადმი ცხოველ ინტერესს იჩენენ ინგლისის ავიაკომპანიის „ბრიტიშ იუროპიენ ეირუეის კორპორეიშნის" მუშაკები. ამ კომპანიამ გასული წლის დამლევს დადო შეთანხმება საბჭოთა ავიასატრანსპორტო კომპანია „აეროფლოტთან" კომერციული თანამშრომლობის შესახებ სამოქალაქო ავიაციის დარგში. იმ პროფკავშირების წარმომადგენელი, რომლებშიც შედის ამ ავიაკომპანიის ყველა მოსამსახურე, საბჭოთა საელჩოსათვის გაგზავნილ წერილში იუწყება, რომ ყველა ამ პროფკავშირმა სთხოვა კომპანიის ადმინისტრაციას „მიიწვიოს საბჭოთა ხელმძღვანელები ამხანაგი ხრუშჩოვი და ამხანაგი ბულგანინი „ბრიტიშ იუროპიენ ეირუეის კორპორეიშნის" ტექნიკურ ბაზაში ლონდონის აეროპორტზე დიდ ბრიტანეთში მათი მომავალი ვიზიტის დროს". ავიაკომპანიის ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარემ ლორდმა დუგლასმა, როგორც შემდეგ ნათქვამია წერილში, სათანადო შუამდგომლობა აღძრა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

ბევრი წერილი მოდის რიგითი ინგლისელი მოქალაქეებისაგან, რომელნიც გულითადად იწვევენ ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს ფინჯან ჩაიზე. წერილებში გამოთქმულია იმედი, რომ სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელ მოღვაწეთა მომავალ მოლაპარაკებას მოჰყვება ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის გაუმჯობესება, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცება.

## საბჭოთა კავშირის ენერგეტიკოსების დელეგაცია ინგლისში

ლონდონი, 21 მარტი. (საქტაგი). გუშინ ინგლისის ცენტრალური საგრაფოების რაიონის ელექტროენერგიის საკითხთა სამმართველომ სადილი გამართა ბირმინჰამში ჩასული საბჭოთა ენერგეტიკოსების დელეგაციის პატივსაცემად, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ელექტროსადგურების მინისტრი გ. მ. მალენკოვი.

ქალაქის ლორდ-მერი არტურ გიბსონი, რომელმაც სადილზე სიტყვა წარმოთქვა ბირმინჰამის მცხოვრებთა სახელით, გულთბილად მიესალმა დელეგაციის წევრებს. გიბსონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა ბირმინჰამში ნახოს საბჭოთა სტუმრები, რამდენადაც ცოტა ხნის წინათ იგი თვითონ იყო სვერდლოვსკის მცხოვრებთა სტუმარი, რომლებმაც მას გულითადი მიღება მოუწყეს.

გიბსონმა შემდეგ თქვა, რომ ბირმინჰამი აქტიურად ემზადება ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ამ ქალაქში მომავალი ჩამოსვლისათვის.

შემდეგ მოკლე სიტყვა წარმოთქვა ცენტრალური საგრაფოების რაიონის ელექტროენერგიის საკითხთა სამმართველოს ხელმძღვანელმა ბ-ნმა ბეტლიმ, რომელმაც აღნიშნა ინგლისსა და სსრ კავშირს შორის დელეგაციების გაცვლის დიდი მნიშვნელობა და სარგებლობა. მან თქვა, რომ მოუთმენლად ელის საბჭოთა კავშირში ინგლისელ ენერგეტიკოსთა დელეგაციის მომავალ გამგზავრებას, რომლის შემადგენლობაშიც იგი შედის.

საპასუხო სიტყვაში გ. მ. მალენკოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა ენერგეტიკოსები ნასიამოვნები არიან იმ გულითადი მიღებით, რომელიც მათ ინგლისელმა კოლეგებმა მოუწყეს. აღნიშნა რა, რომ საჭიროა დიდი ბრიტანეთისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის განვითარება და განმტკიცება, გ. მ. მალენკოვმა გამარჯვება უსურვა მთელ მსოფლიოში მეგობრობასა და მშვიდობას, აგრეთვე ქალაქ ბირმინჰამსა და მის მცხოვრებლებს. გ. მ. მალენკოვის სიტყვამ მრავალგზის გამოიწვია დამსწრეთა მქუხარე ტაში. სადილმა თავისუფალ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

დღეს საბჭოთა კავშირის ენერგეტიკოსთა დელეგაციამ დაათვალიერა ჰემ-ჰილის ელექტროსადგური ბირმინჰამის ახლოს. საბჭოთა სტუმრები დაწვრილებით გაეცნენ ელექტროსადგურს და ესაუბრნენ მის მუშაკებს.

## ბელგრადში ჩავიდა საბჭოთა დელეგაცია

ბელგრადი, 21 მარტი. (საქტაგი). გუშინ ბელგრადში ჩამოვიდა საბჭოთა დელეგაცია, რომელიც აწარმოებს მოლაპარაკებას იუგოსლავიის წარმომადგენლებთან კულტურული თანამშრომლობის საკითხებზე კონვენციის ხელმოწერის შესახებ. იუგოსლავიასა და საბჭოთა კავშირს შორის კულტურული თანამშრომლობის განვითარების შესახებ კონვენციის დადება გათვალისწინებული იყო სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა 1955 წლის 2 ივნისის დეკლარაციით.

## დარბაზობა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატის შეიხ ალ-ამმარის პატივსაცემად

ბეირუთი, 21 მარტი. (საქტაგი). გუშინ დამასკოს სასტუმრო „სემირამისში" მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკოლოზ ტიხონოვმა დიდი დარბაზობა მოაწყო „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატის, სირიის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, სირიის მშვიდობის მომხრეთა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარის შეიხ მუჰამედ ალ-ამმარის პატივსაცემად.

დარბაზობაზე იყვნენ სირიის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი საიდ ჰაზი, შინაგან საქმეთა მინისტრი ალი ბუზო, განათლების მინისტრი მამუნ კუზბარი, სოფლის მეურნეობის მინისტრი მუსტაფა მირზა, საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი ნიზამუდინი, სირიის პარლამენტის დეპუტატები, სირიის თვალსაჩინო საზოგადო და რელიგიური მოღვაწეები, სირიის მშვიდობის მრავალი მომხრე, ლიბანის, იორდანიისა და ერაყის მშვიდობის მომხრეთა წარმომადგენლები, სირიელი მწერლები, პრესის წარმომადგენლები და სხვები.

დარბაზობაზე იყვნენ აგრეთვე საბჭოთა კავშირის ელჩი სირიაში ს. ს. ნემჩინა, მთელ რიგ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები და წარმომადგენლები, რომლებიც აკრედიტებული არიან სირიაში. სულ დარბაზობაზე იყო 500-ზე მეტი კაცი. დარბაზობამ გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

## ნერუმ მიიღო ეიზენჰაუერის მიწვევა ესტუმროს ამერიკის შეერთებულ შტატებს

დელი, 20 მარტი. (საქტაგი). როგორც ინდოეთის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დ. ეიზენჰაუერმა ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნერუ მიიწვია ესტუმროს ამერიკის შეერთებულ შტატებს. ინდოეთის საინფორმაციო ბიუროს ცნობით, ნერუმ ეს მიწვევა მიიღო. ვარაუდობენ, რომ იგი ამერიკის შეერთებულ შტატებს ეწვევა ივლისის დამდეგს, ერთა თანამეგობრობის ქვეყნების პრემიერ-მინისტრების კონფერენციის დამთავრების შემდეგ.

## საბჭოთა მოჭადრაკეების გამარჯვება დრეზდენის საერთაშორისო ტურნირზე

ბერლინი, 21 მარტი. (საქტაგი). გუშინ დრეზდენში (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) დამთავრდა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელმაც სამ კვირაზე მეტ ხანს გასტანა და რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, საბჭოთა კავშირის, რუმინეთის, იუგოსლავიის, პოლონეთის, ბულგარეთის, შვეციისა და დანიის მოჭადრაკეებმა.

ტურნირში გამარჯვებული გამოვიდნენ საბჭოთა მოჭადრაკეები — გროსმაისტერი ავერბახი — ტურნირის ერთადერთი მონაწილე, რომელსაც არც ერთი დამარცხება არ განუცდია, და ოსტატი ხოლმოვი. მათ მოაგროვეს თორმეტ-თორმეტი ქულა თხუთმეტ შესაძლებელში თითოეულმა და გაიყვეს პირველი და მეორე ადგილები.

მესამე ადგილი დაიკავა რუმინელმა ოსტატმა ჩოკილტეამ, რომელსაც აქვს 10,5 ქულა. შემდეგ არიან: გროსმაისტერი პახმანი (ჩეხოსლოვაკია) — 9 ქულა; ულმანი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) — 8,5 ქულა; მეექვსე და მეშვიდე ადგილები გაიყვეს პადევსკიმ (ბულგარეთი) და ბილეკმა (უნგრეთი), რომლებმაც რვა-რვა ქულა მოაგროვეს.



ზუგდიდის რაიონი. კულტურის სახლი სოფელ ინგირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. ფოტო პ. ლუცენკოსი.

## ქუჩების კეთილმოწყობა

სულ უფრო მშვენიერდება და კეთილმოწყობილი ხდება ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ქუჩები და მოედნები. მარტო შარშან ქუჩების სავალ ნაწილზე დაიგო 263.500 კვადრატული მეტრი ასფალტი, შეკეთდა და დაიგო ასფალტი 159.000 კვადრატულ მეტრ ტროტუარზე. ახლად გაკეთდა სანაპირო მტკვრის მარცხენა მხარეზე მარქსის ხიდიდან ტელმანის ქუჩამდე, ხუდადოვის ქუჩის ბოლო ნაწილი ნახევარ კილომეტრზე, დიღმის პირველი შესახვევი. მოასფალტდა ავჭალის გზა, დიდხევის, საბურთალოს, შიო მღვიმელისა და ლომოურის ქუჩები. მოიკირწყლა ორმაღლელისა და მიჩურინის ქუჩები, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის წინ მოეწყო მოედანი, გაკეთდა ნავთლუღის ავეჯის კომბინატთან მისასვლელი გზა.

დიდი სამუშაოები შესრულდა ქუჩებში დღის სინათლის ნათურების მოსაწყობად. ამჟამად ქალაქში წერეთლის ქუჩაზე, რუსთაველის პროსპექტზე — შოთა რუსთაველის მოედნიდან სამხედრო ქუჩამდე, ლენინის ქუჩის ნაწილზე და მარჯანიშვილის ქუჩაზე დაიდგა დღის სინათლის 55 არმატურა. ასამდე ასეთი ნათურა დაიდგმება კიროვისა და შაუმიანის ქუჩებში და პლეხანოვის პროსპექტზე.

ქალაქის ქუჩებში გაზრდილი მოძრაობის რეგულირებისათვის რუსთაველის პროსპექტზე და შაუმიანის ქუჩის დასაწყისში დაიდგა ნიშანსვეტები ფერადი სიგნალებით, რომლებიც ერთდროულად აწესრიგებენ ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობას. შუქნიშნები დაიდგმება პლეხანოვის პროსპექტზე, საბჭოს, მელიქიშვილის და ჩელუსკინელების ქუჩებზე.

ქუჩების კეთილმოწყობისათვის დიდი სამუშაოებია გათვალისწინებული მიმდინარე წლისათვის. ახლად დაიგება და მოასფალტდება 239.000 კვადრატული მეტრი, მოიკირწყლება და მოიხრეშება 233.800 კვადრატული მეტრი ქუჩის სავალი ნაწილი, 164.800 კვადრატულ მეტრ ტროტუარზე შეკეთდება და დაიგება ასფალტი. კეთილმოეწყობა კოლექტივიზაციის, ბარნოვის, ფალიაშვილის ქუჩები, გაგრძელდება მტკვრის მარცხენა სანაპირო და შეუერთდება ხეთაგუროვის ქუჩას, აწყურის ქუჩა შეუერთდება კახეთის ქუჩას, რითაც შაუმიანის ქუჩა საგრძნობლად განიტვირთება ტრანსპორტის მოძრაობისაგან.

## რამდენიმე სტრიქონით

⊙ საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერიაში დაიხურა გამოჩენილი საბჭოთა მოქანდაკის, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრის, სტალინური პრემიის ლაურეატის აკადემიკოს ვ. მუხინას ნამუშევართა გამოფენა. გამოფენა დაათვალიერა სულ 25.000-მდე კაცმა.

⊙ ახალი ავტოსარემონტო ქარხანა და ავტობაზა ნავარაუდევია აშენდეს ნავთლუღში. მშენებლობა დაიწყება მომავალი წლის პირველი კვარტალიდან.

⊙ საქართველოს შამპანური ღვინოების კომბინატის ლენინის ქარხნები წელს პირველად გამოუშვებენ ნახევრადტკბილ ღვინოს „ატენურის" სახელწოდებით. უკვე გამოვიდა საცდელი ნიმუშები. წლის ბოლომდე დამზადდება 10.000 დეკალიტრი ასეთი ღვინო.

⊙ ახალი ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ბარნოვის ქუჩაზე მიწის ნაკვეთი გამოუყო საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს.

## მარჯანიშვილის სახელობის თეატრში

25, 26 მარტს მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში სპექტაკლ „მაია წყნეთელში" მაიას როლს შეასრულებს ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის ახალგაზრდა მსახიობი ბელა ჯაფარიძე.

## საბავშვო კინოფილმების ფესტივალი

25 მარტიდან 5 აპრილამდე საგაზაფხულო სასკოლო არდადეგებთან დაკავშირებით დედაქალაქის კინოთეატრებში — „თბილისში", „კომკავშირელში", „ისანში", 26 კომისრის სახელობის კინოთეატრში, პლეხანოვის სახელობის კლუბში ეწყობა საბავშვო კინოფილმების ფესტივალი.

დღის სეანსებში ფესტივალის დღეებში ნაჩვენები იქნება საბავშვო ფილმები „მედოლის ბედი", „მაგდანას ლურჯა", „კვამლი ტყეში", „ცისკარა", „შვილი", „პედაგოგიური პოემა", „წითელი ყელსახვევი", „ჩვენი ქვეყნის გუნდი", „თემური და მისი რაზმი", „ამხანაგის ღირსება", „გაეროში" და სხვ.

## „კოლმეურნის" პირველობაზე

ხაშური. (საკ. კორ.). აქ სამ დღეს გრძელდებოდა საქართველოს ნებაყოფლობითი სასოფლო სასპორტო საზოგადოება „კოლმეურნის" პირველობის გათამაშება ძალოსნობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 156-მა ძალოსანმა.

„კოლმეურნის" ჩემპიონები გახდნენ: გორიჯაშვილი (სამხრეთ ოსეთი), მალაზონია (მახარაძე), ადამიკოვი (წალკა), ყუბანეიშვილი (ქუთაისი), ჩოჩიევი (სამხრეთ ოსეთი), ნიქაბაძე (წყალტუბო), ჯაფარიძე (მახარაძე).

გუნდურ ასპარეზობაში გაიმარჯვა აფხაზეთის ძალოსანთა კოლექტივმა.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჭურციკიძე.


### დისერტაციების დაცვა
### თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი
(მელიქიშვილის ქ. № 10)

ა. წ. 3 აპრილს დღის 1 საათზე დისერტაციას დაიცავენ:

1. **თენგიზ მელიტონის-ძე კარტოზია**

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად — თემაზე: „წყალტუბოს მინერალური წყლების გავლენა პერიფერიული ნერვის რეგენერაციაზე".

2. **ქეთევან ერმილეს ასული კეთილაძე**

—ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „მასალები ტუნგოს ზეთიანი საწყისის ბიოლოგიური და ქიმიური დახასიათებისათვის".

ა. წ. 10 აპრილს დღის 1 საათზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციებს დაიცავენ:

1. **ბარბარე თედორეს ასული სვანი**

თემაზე: „მასალები ფსიქიატრიული ექსპერტიზის ისტორიისათვის საქართველოში".

2. **ლამარა ალექსანდრეს ასული კანდელაკი**

— თემაზე: „სისხლის შრატის ცილოვანი ფრაქციების გამოკვლევა სისხლწარმომქმნელი სისტემის დაავადების დროს".

ა. წ. 17 აპრილს დღის 1 საათზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად

**შალვა კონსტანტინეს-ძე ფარჯანაძე**

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ახტალის ტალახის გავლენა ღვიძლის ზოგიერთ ფუნქციაზე".

დისერტაციების გაცნობა შეიძლება სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

### რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
დღისა და საღამოს წარმოდგენები მოსწავლეთა არდადეგების დროს

| | | |
|---|---|---|
| კვირას 25 მარტს<br>დღისით<br>სოფოკლე<br>**ოიდიპოს მეფე** | ხუთშაბათს 29 მარტს<br>საღამოთი<br>სოფოკლე<br>**ოიდიპოს მეფე** | სამშაბათს 3 აპრილს<br>დღისით<br>მ. ჯაფარიძე<br>**ჩვენებურები** |
| კვირას 25 მარტს<br>საღამოთი<br>სოფოკლე<br>**ოიდიპოს მეფე** | პარასკევს 30 მარტს<br>დღისით<br>ვ. როზოვი<br>**ხალისიანი მეგობრები** | სამშაბათს 3 აპრილს<br>საღამოთი<br>ჯ. ფლეტჩერი<br>**ესპანელი მღვდელი** |
| სამშაბათს 27 მარტს<br>დღისით<br>ი. ჭავჭავაძე<br>**გლახის ნაამბობი** | პარასკევს 30 მარტს<br>საღამოთი<br>ს. შანშიაშვილი<br>**ხევისბერი გოჩა** | ოთხშაბათს 4 აპრილს<br>დღისით<br>ჯ. ფლეტჩერი<br>**ესპანელი მღვდელი** |
| სამშაბათს 27 მარტს<br>საღამოთი<br>ი. ჭავჭავაძე<br>**გლახის ნაამბობი** | შაბათს 31 მარტს<br>დღისით<br>ს. შანშიაშვილი<br>**ხევისბერი გოჩა** | ოთხშაბათს 4 აპრილს<br>საღამოთი<br>უ. შექსპირი<br>**ოტელო** |
| ოთხშაბათს 28 მარტს<br>დღისით<br>სოფოკლე<br>**ოიდიპოს მეფე** | შაბათს 31 მარტს<br>საღამოთი<br>ლ. ქიაჩელი<br>**ტარიელ გოლუა** | ხუთშაბათს 5 აპრილს<br>დღისით<br>მ. მრევლიშვილი<br>**ბარათაშვილი** |
| ოთხშაბათს 28 მარტს<br>საღამოთი<br>სოფოკლე<br>**ოიდიპოს მეფე** | კვირას 1 აპრილს<br>დღისით<br>ლ. ქიაჩელი<br>**ტარიელ გოლუა** | ხუთშაბათს 5 აპრილს<br>საღამოთი<br>ი. ჭავჭავაძე<br>**გლახის ნაამბობი** |
| ხუთშაბათს 29 მარტს<br>დღისით<br>სოფოკლე<br>**ოიდიპოს მეფე** | კვირას 1 აპრილს<br>საღამოთი<br>ლ. ქიაჩელი<br>**ტარიელ გოლუა** | |

არდადეგების პერიოდში დღის წარმოდგენებზე, შესვენებების დროს და დამთავრების შემდეგ, მოეწყობა მოსწავლეთა შეხვედრები თეატრის წამყვან მოწინავე მსახიობებთან, რეჟისორებთან, მხატვრებთან და ქართველ მწერლებთან.

წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8 საათზე, დღისით—12 საათზე. ბილეთები იყიდება თეატრისა და ცენტრალურ თეატრალურ სალაროებში. წარმოდგენაზე არ დაიშვებიან: საღამოს—მოზარდები 16 წლამდე, დღისით—ბავშვები 10 წლამდე, ხოლო „ოიდიპოს მეფეზე", დღისით და საღამოს — მოზარდები 16 წლამდე.

დირექცია.

### შეიძინეთ სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები!

**1956 წლის 30 მარტს ქალაქ მოსკოვში შედგება სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა 50-ე ტირაჟი**

ყოველწლიურად იმართება ამ სესხის ექვსი ძირითადი ტირაჟი — **30 იანვარს, 30 მარტს, 30 მაისს, 30 ივლისს, 30 სექტემბერს და 30 ნოემბერს და ერთი დამატებითი მოგებათა ტირაჟი — 30 სექტემბერს.**

ძირითად ტირაჟებში გათამაშდება **50.000, 25.000, 10.000, 5.000, 1.000 და 400-მანეთიანი მოგებანი, ხოლო დამატებით ტირაჟში, გარდა ამისა, 100.000-მანეთიანი მოგება.**

სესხის ობლიგაციებს ყიდიან და ყიდულობენ შემნახველი სალაროები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.


### დღეს თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — კარმენი, რუსთაველის სახელობის — ოიდიპოს მეფე, მარჯანიშვილის სახელობის — უცნობი ქალი, გრიბოედოვის სახელობის — ნორა, სომხური დრამის — სამშვენი, მუსიკალური კომედიის — საყვარელი დისშვილი.

### კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, სპარტაკი— მოგზაურობა არგენტინაში, ამირანი, თბილისი, ისანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი — დღეს საღამოს ყველაფერი დამთავრდება, 26 კომისრის სახელობის, ოქტომბერი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი — რუმიანცევის საქმე, კომკავშირელი, კოლხიდა, კიროვის სახელობის პარკი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი— მე და ჩემი ცოლი.


მოქალაქე რობერტ კონსტანტინეს-ძე ჩარგეიშვილმა, მცხოვრებმა საზღვრის ქ. № 14, აღძრა საქმე საზღვრის ქ. № 3 მცხოვრებ მოქალაქე ლილი ნიკოლოზის ასულ მუზაშვილთან განქორწინების შესახებ საქმეს განიხილავს ლენინის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე ზაირა გრიგოლის ასულმა ჭანტურიშვილმა, მცხოვრებმა ქ. ქუთაისში, ლენინის პროსპექტის მე-3 შესახვევი № 4, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ გივი სერგოს-ძე ჭანტურიძესთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგია.


შვილები ქეთო, ვერა, ვალია, საშა, შალვა, ალექსანდრე იუწყებიან
**ეკატერინე ვაჭარაძე-კაჭახიძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24-III, 8 ს. გამოსვენება 25-III, 4 ს. რუსთაველის პროსპ. № 2.

შვილები კაკო, ქეთია ოჯახებით იუწყებიან
**ერასტო ივანეს-ძე ყალიჩავას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-III ქ. ფოთში, გამოსვენება ბინიდან, კიროვის ქ. № 61.

მეუღლე ირაკლი, შვილები შოთა, დიმიტრი, დები ნინო, ვარო, გოგუცა, ოლია, ქსენია ოჯახებით იუწყებიან
**შარლო ონისიმეს ასულ ლეჟავა-ხაინდრავას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-III, 4 ს. ქიათურაში. გამოსვენება მოსკოვის ქ. № 37.

შვილები ვასილ, მარიამ ოჯახებით იუწყებიან
**გოგოტია გიორგის ასულ წერეთლის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 25-III ქიათურაში, ბინიდან, სტალინის ქ. № 42, დაკრძალვა სოფელ პერევისაში.

დედა ელენე, შვილი ოთარ, ძმა გიორგი ოჯახებით იუწყებიან
**ელისაბედ ნიკოლოზის ასულ ნაკაშიძე-თანდილაშვილის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24-III, 8 ს. გამოსვენება 25-III, 4 ს. ლენინის მეორე შესახვევი № 3.

რძალი ვალერია, შვილიშვილები ბრონისლავ, ვახტანგ ბახტაძეები იუწყებიან
**ოლღა მინას ასულ რევიშვილი-ბახტაძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24-III, 8 ს. გამოსვენება 25-III, 3 ს. ხეჩუაშვილის ქ. № 9.

მეუღლე ანძა, დები სარა, მატრონე, ანიკა, ძმები მიხაკო, ილიკო ჯანელიძეები, მიხეილ არომიძე ოჯახებით იუწყებიან
**გიორგი ესოფის-ძე ჯანელიძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-III სოფელ ვაკიჯვარში (მახარაძის რაიონი).

შვილები კონსტანტინე, დავით, ქსენია, მერი, თინა, და ალექსანდრა ოჯახებით იუწყებიან
**ფაცია პავლეს ასულ ხარაძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 24-III, 7 ს. გამოსვენება 25-III, 4 ს. გოგოლის ქ. № 58.

მეუღლე მარიამ, დედა ეკატერინე, შვილები თინა, ანატოლი, ძმა ვიქტორ ოჯახით იუწყებიან
**ევგენი მიხეილის-ძე ჭელიძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24-III, 8 ს. გამოსვენება 25-III, 2 ს. ლენინგრადის ქ. № 5.

მეუღლე ქეთევან, შვილები თამარ, ავთანდილ იუწყებიან საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის
**ევგენი ევსევის-ძე გვანცელაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-III ქ. ქუთაისში. გამოსვენება ბინიდან, გორკის ქ. № 5.

შვილები ნიკოლოზ, ელენე, ანა, ნათელა იუწყებიან
**ალექსი გიორგის-ძე კვიტაიშვილის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-III ქ. ლანჩხუთში. გამოსვენება ენგელსის ქ. № 51.

კატო, ელენე, ნინო, თამარ, კონსტანტინე გოთუები იუწყებიან დისა და მამიდის
**მარიამ სიმონის ასულ გოთუას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-III სოფელ ძიმითში (მახარაძის რაიონი).

უე 00479.
პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.